

ადამიანით ვაჭრობის
(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ
ბრძოლის 2015-2016 წლების
სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული
ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებატაშორისო
საკოორდინაციო საბჭო

2015-2016

სარჩევი

შესავალი	3
1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია.....	5
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა.....	39
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა.....	45
4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.....	54
5. თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია	63
დანართი №1	76
დანართი №2	78
დანართი №3	79

შემსრულებელი სახელმწიფო უწყებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

საქართველოს მთავარი პროკურატურა;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“.

შესავალი

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოში აქტიურად ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ტრეფიკინგთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის №534 ბრძანებულებით ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო (*შემდგომში – საბჭო*), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №281 დადგენილებით ხელახლა დამტკიცდა საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება.

2016 წლის 12 დეკემბერს ცვლილებები შევიდა საბჭოს დებულებაში, რომლის საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე; ასევე, საბჭოს შემადგენლობას დაემატნენ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD). ამასთან, საბჭოს წევრთა სიიდან ამოღებულ იქნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ვინაიდან ეს უწყება 2016 წლის მიწურულს შეუერთდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

საბჭო კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებების მუშაობას, მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული სამოქმედო გეგმის ჯეროვან შესრულებაზე, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დანაშაულის პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ და საბოლოო ანგარიშებს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით 2014 წლის 14 ნოემბერს საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა (*შემდგომში – სამოქმედო გეგმა*), რომელიც მოიცავს 2015-2016 წლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.

სამოქმედო გეგმა ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ 4P-ს პრინციპს:

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია;
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა;
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა;
4. თანამშრომლობა.

აღნიშნული პრინციპების შესრულების მიზნით სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი ამოცანები, საქმიანობები, პასუხისმგებელი უწყებები, პარტნიორი ორგანიზაციები, კონკრეტული საქმიანობის შესრულების ვადები და განხორციელებული ღონისძიებების შეფასების ინდიკატორები.

სამოქმედო გეგმა, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს ტრეფიკინგის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტს, ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარებასა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირების საკითხს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ორწლიან ანგარიშს, რომელიც ფარავს პერიოდს 2015 წლის 1-ლი იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

საქართველოს მთავრობა აქტიურად განაგრძობს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობის ღონისძიებების ორგანიზებასა და ამგვარ აქტივობებში მონაწილეობის მიღებას. ამასთან დაკავშირებით **სამოქმედო გეგმის პირველი მიზანი** ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის კუთხით პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება

1.1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სამოქმედო გეგმის 1.1.1. პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა უკავშირდება ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლების ხელშეწყობას. ამასთან მიმართებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

✓ **ზოგადი განათლება**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს მთელ რიგს პროგრამებისა, რომელთა მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სასკოლო ინიციატივების წახალისება და ა.შ. პროგრამები თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სტატუსის მქონე მოსწავლეზე.

„სამოქალაქო განათლების“ შესწავლისას IX და X კლასის მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) – მონობის – თანამედროვე ფორმის შესახებ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს ტრეფიკინგის შესახებ სწავლებას.

ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილ სასკოლო სახელმძღვანელოებში ცალკე გაკვეთილები ეთმობა ტრეფიკინგის თემას. კერძოდ:

- სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები: თამარ მეიფარიანი, ლეილა მიქიაშვილი, ირინე ჯალაღანია, მაია გონაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, დალი შავლოხაშვილი და რუსუდან დალაქიშვილი, გამომცემლობა: შპს „საქართველოს მაცნე“, 2012 წ.) მე-6 თემის სახელწოდებაა „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – მონობის თანამედროვე ფორმა“ (გვ. 19);
- სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები: ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი. გამომცემლობა: „სიდი“, 2012 წ.) ტრეფიკინგის თემა ასახულია ორ გაკვეთილში: 44. ტრეფიკინგი – მონობის თანამედროვე ფორმა (გვ. 111); 45. უსაფრთხო მიგრაცია (გვ. 115);
- სამოქალაქო განათლების X კლასის (ავტორები: ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013 წ.) სახელმძღვანელოში ტრეფიკინგის თემას სამი გაკვეთილი ეძღვნება: 18. ახალგაზრდობა – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ჯგუფი (გვ. 38); 19. ახალგაზრდების ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკფაქტორები (გვ. 41); 20. ვინ და როგორ ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი (გვ. 44).

გარდა ზემოაღნიშნული გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა, მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები IX და X კლასებისათვის სათაურით „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“, რომლებიც ორ-ორი საგაკვეთილო თემისაგან შედგება. სახელმძღვანელოები გამდიდრებულია ვიდეორესურსითაც და თან მოჰყვება სპეციალური ცნობარი მშობელთათვის.

ამრიგად, სამოქალაქო განათლების სამ სახელმძღვანელოში ტრეფიკინგს ეხება სულ ექვსი თემა, ხოლო ორ დამხმარე სახელმძღვანელოში ტრეფიკინგი განხილულია ოთხ თემაში.

ტრეფიკინგის მსხვერპლ/დაზარალებულ არასრულწლოვანთათვის და მათ კონკრეტულ საჭიროებაზე მორგებული ცალკე პროგრამა არ არის შემუშავებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობას სხვა პირებთან თანასწორად ტრეფიკინგის მსხვერპლი/დაზარალებული არასრულწლოვნებისთვის.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2008 წლის გაზაფხულზე საერთაშორისო ორგანიზაცია „PH-International“-მა საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შესთავაზა სამართლებრივი განათლების პროგრამა, რომელიც

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურომ დააფინანსა.

პროგრამის ფარგლებში მომზადდა ორი სახელმძღვანელო: ერთი – მოსწავლეებისათვის და მეორე – მასწავლებლებისა და სამართალდამცველებისათვის. სამართლებრივი კულტურის პროგრამა ჩამოყალიბდა როგორც სამოქალაქო განათლების სწავლების ფარგლებში შერწყმული საგანმანათლებლო პროგრამა. ასეთმა მიდგომამ არ გაზარდა მოსწავლე-მასწავლებლის საგაკვეთილო დატვირთვა და გააძლიერა საკითხების შესწავლის ეფექტიანობა; გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს როლურ თამაშებს და გამიზნულია მოსწავლეებში სამართლისა და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის ამაღლებისკენ.

აღნიშნული პროგრამა ყოველწლიურად ხორციელდება შერჩეული სკოლების მეცხრეკლასელთათვის. პროექტი ითვალისწინებს წინასწარ შედგენილი საგნის – „სამართლებრივი კულტურის“ – სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს სამართალდამცველისა და სკოლის პედაგოგის ერთობლივი აქტივობით.

საგანი „სამართლებრივი კულტურა“ მოიცავს შემდეგ თემებს:

1. არასრულწლოვანი და კანონი;
2. ძალადობა (ძალადობა ოჯახში, ბულინგი სკოლებში);
3. მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა;
4. ორგანიზებული დანაშაული (ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობა);
5. სასამართლო სამართალწარმოება.

2015-2016 სასწავლო წელს აღნიშნული პროგრამა განხორციელდა 40 საჯარო სკოლაში.

✓ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სილაბუსების რაოდენობა

ოცდარვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 3 უნივერსიტეტში სილაბუსები არსებობს შემდეგი სახელწოდებით: ა. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი); ბ. ტრეფიკინგის იურიდიული ბუნება; გ. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა (ისწავლება არჩევით საგანად).

ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საკითხები საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება როგორც სასწავლო კურსის ერთ-ერთი საკითხი: 1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, I (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) და ეთმობა საათების გარკვეული რაოდენობა;

დემოკრატია და მოქალაქეობა (თავისუფალი კრედიტები); საეკლესიო სამართალი; სამართლის საფუძვლები; ადამიანთა უფლებები; გლობალიზაცია; საერთაშორისო უსაფრთხოება; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი; სამაგისტრო პროგრამაზე (3 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება): ტრანსნაციონალური დანაშაული; ორგანიზაციული დანაშაული – პრევენციის მიმართულებები, ბრძოლა ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ.

1.1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლების გაშვება მედიის საშუალებით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში – ფონდი)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო); 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

1.1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო რადიორგოლის გავრცელება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – ფონდი (სოციალური რეკლამის ფარგლებში);

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

სამოქმედო გეგმის 1.1.2. და 1.1.3. პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების შესაბამისად, 2015-2016 წლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ფონდის მიერ 2011 წლის 24 ნოემბერს დამზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გაშვებულ იქნა შემდეგ ტელეარხებზე:

ა) „საზოგადოებრივი მაუწყებელი“;

ბ) „მეორე არხი“;

გ) „აჭარის ტელევიზია“.

- საინფორმაციო ვიდეორგოლები ზემოაღნიშნულ ტელეარხებზე გადიოდა *3 თვის* (2015 წლის *მარტი, აპრილი, მაისი*) განმავლობაში. თითოეულ არხზე საინფორმაციო ვიდეორგოლები გადიოდა დღეში რამდენჯერმე.

- ფონდის მიერ 2011 წლის 24 ნოემბერს დამზადებული საინფორმაციო რადიორგოლები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გაშვებულ იქნა საზოგადოებრივი რადიოს და აჭარის რადიოს ეთერში.

- საინფორმაციო რადიორგოლების გაშვება ხორციელდებოდა 3 თვის (2015 წლის მარტი, აპრილი, მაისი) განმავლობაში. საინფორმაციო რადიორგოლები გადიოდა დღეში რამდენჯერმე.

- ფონდმა 2015 წლის 6 აპრილს გააფორმა ხელშეკრულება საინფორმაციო ცენტრ „118 08“-თან, რომლის მიხედვით, ცენტრის თითოეული აბონენტი ავტომატურად ხმოვანი შეტყობინებით იღებდა ინფორმაციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ. აღნიშნული კამპანია 2015 წლის 18, 21 და 23 აპრილს იყო აქტიური.

- 2016 წლის 21 მარტს დამზადდა სარეკლამო ვიდეორგოლი ტრეფიკინგის თემატიკაზე (ქრონომეტრაჟი 21 წამი) და გაშვებულ იქნა შემდეგ ტელეარხებზე:

ა) „აჭარის ტელევიზია“ (ხანგრძლივობა 3 თვე – მარტი, აპრილი და მაისი);

ბ) „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (ხანგრძლივობა 3 თვე – მარტი, აპრილი და მაისი);

გ) ტელეკომპანია „იმედი“ (ხანგრძლივობა 1 თვე – აპრილი);

დ) ტელეკომპანია „მაესტრო“ (ხანგრძლივობა 1 თვე – აპრილი).

ბეჭდვითი და ტელერადიოპროექტები

2015-2016 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა არაერთ ბეჭდვით გამოცემასა თუ ტელერადიოგადაცემაში მიიღეს მონაწილეობა ტრეფიკინგის თემაზე:

- 2015 წლის 13 თებერვალს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო „რადიო თავისუფლების“ გადაცემაში „გენდერული საკითხები“, რომელიც მიემდგვნა თანამედროვე მონობის თემას. გადაცემის ჩანაწერი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

<http://www.radiotavisupleba.ge/media/video/26848367.html>;

- 2015 წლის 20 თებერვალს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის იურისტმა ტელეკომპანია „ქართული არხის“ გადაცემაში – „იურისტის საათი“, ისაუბრა ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებით;

- 2015 წლის 27 თებერვალს შსს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის თემაზე მიმდგნილ გადაცემაში ტელეარხზე – „ქართული“;

- 2015 წლის 17 მარტს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის იურისტმა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) დირექტორმა და შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს „საზოგადოებრივი რადიოს“ გადაცემაში – „მიგრაციის მარშრუტები“, სადაც ისაუბრეს ტრეფიკინგის საფრთხეებსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე;
- 2015 წლის 25 მარტს გაზეთ „პრაიმ თაიმში“ გამოქვეყნდა სტატია ტრეფიკინგთან დაკავშირებით. გაზეთის რესპონდენტი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის იურისტი;
- 2015 წლის 26 მარტს „რადიო თავისუფლების“ სპეციალური გადაცემა მიემდგნა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებს. გადაცემის რესპონდენტი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის იურისტი და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) დირექტორი;
- 2015 წლის 28 მარტს სპეციალური სიუჟეტი გავიდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 1-ლი არხის გადაცემა „მომავლის“ ეთერში, რომელიც ეძღვნებოდა ადამიანით ვაჭრობის საკითხებს. რესპონდენტი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის იურისტი;
- 2015 წლის 10 აპრილს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო „რადიო თავისუფლების“ ეთერში გასულ გადაცემაში – „სტუდია 10“; თემა ეხებოდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას;
- 2015 წლის 21 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ქრონიკის“ სტუმარი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. გადაცემაში ისაუბრეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ფონდის მიერ დაწყებულ საინფორმაციო კამპანიაზე;
- 2015 წლის 21 მაისს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მონაწილეობა მიიღო „საზოგადოებრივი რადიოს“ გადაცემაში – „უფლება და თავისუფლება“, სადაც ისაუბრა ტრეფიკინგის საფრთხეებსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე;
- 2015 წლის 4 ივნისს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის იურისტმა მონაწილეობა მიიღო ტელევიზია „TVS“-ის მიერ მომზადებულ სპეციალურ სიუჟეტში, რომელიც ეხებოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებს;

- 2015 წლის 11 ივლისს სატელევიზო არხ „TV-25“-ზე სპეციალური გადაცემა მიეძღვნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების საკითხებს. რესპონდენტები იყვნენ სახელმწიფო ფონდის იურისტი და თბილისის თავშესაფრის დირექტორი;
- 2015 წლის 28 ივლისის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვება „მომსახურება“ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფონდის იურისტმა, რომელმაც ისაუბრა ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებით;
- 2015 წლის 29 ივლისის „რადიო თავისუფლების“ გადაცემაში – „თავისუფლების 1 საათი გოგი გვახარიასთან ერთად“ – ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებით მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილემ, თბილისის თავშესაფრის დირექტორმა და ფონდის პრესმდივანმა;
- 2015 წლის 29 ივლისის გაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა თემა: „ტრეფიკინგი და ფონდის სერვისები“. რესპონდენტი – ფონდის იურისტი;
- 2015 წლის 30 ივლისის „მედია-კავშირი ობიექტივის“ ეთერი დაეთმო ტრეფიკინგსა და ფონდის სერვისებს, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილე, იურისტი, თბილისის თავშესაფრის დირექტორი და ფონდის პრესმდივანი;
- 2015 წლის 30 ივლისის „რადიო თავისუფლების“ ეთერი დაეთმო ტრეფიკინგის თემას და ფონდის სერვისებს. რესპონდენტი – სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილე;
- 2015 წლის 30 ივლისის სატელევიზიო არხი „ერთსულოვნების“ ეთერი დაეთმო ტრეფიკინგის თემას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილემ;
- 2015 წლის 30 ივლისის „აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვებაში მონაწილეობდა ბათუმის თავშესაფრის უფროსი, რომელმაც ისაუბრა ტრეფიკინგის თემატიკაზე და ფონდის მომსახურებებზე;
- 2015 წლის 30 ივლისს ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით სტატია გამოქვეყნდა ახალი ამბების სააგენტო „ექსპრესნიუსში“ (EPN). სტატია ეხებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებულ სახელმწიფო მომსახურებებს და ფონდის მიერ განხორციელებულ საინფორმაციო კამპანიას;
- 2015 წლის 18-19 სექტემბერს აჭარის ტელევიზიისა და ტელეარხ „TV 25“-ის „ახალ ამბებში“ სიუჟეტი მიეძღვნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი მომავლის“ მიერ განხორციელებულ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებას ტრეფიკინგის თემაზე. სიუჟეტში რესპონდენტებად წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი და ტრენერი;
- 2016 წლის 8 აპრილს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გადაცემა „მომსახურება“ ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებით მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილემ;
- 2016 წლის 11 აპრილს ტელეკომპანია „მაცენტროს“ საინფორმაციო გადაცემაში – „კონტაქტი რვაზე“ – ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებით მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფონდის იურისტმა;

- 2016 წლის 9 მაისს გაზეთ „პრაიმ თაიმში“ გამოქვეყნდა სახელმწიფო ფონდის იურისტის ინტერვიუ ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი რეგულირების საკითხებსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებულ ფონდის მომსახურებებზე;
- 2016 წლის 15 ივნისს ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემაში – „თქვენი დრო“ – მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფონდის დირექტორმა, რომელმაც ისაუბრა ტრეფიკინგსა და ფონდის მომსახურებებზე;
- 2016 წლის 30 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მსოფლიოს მასშტაბით ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ტელეკომპანიების – „იმედის“, „რუსთავი 2“-ისა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ – საინფორმაციო გამოშვებებში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფონდის დირექტორმა;
- 2016 წლის 28 ივლისს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემაში – „შუა დღე“ ტრეფიკინგის თემასა და ფონდის მომსახურებებზე ისაუბრა სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილემ;
- 2016 წლის 11 დეკემბერს გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა სახელმწიფო ფონდის მოადგილის ინტერვიუ, რომელიც ეხებოდა სექსუალური ექსპლუატაციის საკითხებსა და ფონდის მომსახურებებს.

1.1.4 საინფორმაციო მასალის გავრცელება იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ასევე, საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (მათი თანხმობის შემთხვევაში), დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო); 2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 5. ფონდი; 6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია); 7. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქმედო გეგმის 1.1.4. პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში (2015-2016 წლებში) ტრეფიკინგის, არალეგალური მიგრაციისა და ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საინფორმაციო ბროშურები ფართოდ იქნა გავრცელებული შემდეგი უწყებების მიერ:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით დამზადებულია საინფორმაციო ბროშურები („რჩევები საზღვარგარეთ წასვლის მსურველთათვის“), რომლებიც შეიცავს ინფორმაციას საკონსულო დახმარების და ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ და შემდგომი გავრცელების მიზნით რიგდება საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ადგილობრივ ქვეყნებში არსებულ დიასპორულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;
- 2015 წლის II კვარტლის განმავლობაში აღნიშნული ბროშურები საჭიროებისამებრ მიეწოდათ საქართველოს საელჩოებს შემდეგ ქვეყნებში: არგენტინა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იტალია, ყაზახეთი, კვიპროსის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, უზბეკეთი და შვეიცარიის საელჩო რუსეთის ფედერაციაში (საქართველოს ინტერესების სექცია); ასევე, საქართველოს საკონსულო დაწესებულებებს ქ. სალონიკში, ქ. ფრანკფურტსა და ქ. განჯაში.

გამომდინარე იქიდან, რომ საკონსულო დეპარტამენტში არსებული დაბეჭდილი ბროშურები სრულად დაეგზავნათ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებს, 2015 წლის მე-2 კვარტლის შემდეგ არ განხორციელებულა აღნიშნული ბროშურების მიწოდება, რადგან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში მითითებული ბროშურების ნაკლებობა არ გამოვლენილა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, პერმანენტულად ხდება ბროშურაში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის კორექტირება/განახლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადამიანით ვაჭრობისა და უკანონო მიგრაციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ახორციელებს პროფილაქტიკური და პრევენციული ღონისძიებებს, რაც მოიცავს საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიას, ადამიანით ვაჭრობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით ბეჭდვითი საინფორმაციო მასალების მომზადებასა და გავრცელებას.

2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და სხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით დამზადდა და გავრცელდა ბროშურები ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის და მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

2015 წლის იანვარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა 3000 ცალი ქართულენოვანი ფლერი, რომლებიც განთავსდა სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე.

2015 წლის იანვრიდან შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ განხორციელდა საქართველოს მასშტაბით ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა და რისკჯგუფის შემცველ დაწესებულებებში მომუშავე პირთა, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა, გამოკითხვა და მათი ინფორმირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ. ასევე, მათ დაურიგდათ საინფორმაციო ხასიათის ბროშურები ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებებისა და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, 2015 წლის 30 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოქალაქეებს ტრეფიკინგის საფრთხეებსა და სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო ბროშურები დაურიგეს. აღნიშნული საინფორმაციო ბროშურები საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელშეწყობით ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე დამზადდა.

ღონისძიების ვიდეომასალის ნახვა შესაძლებელია ბმულზე <http://police.ge/ge/shss-m-trefikingis-tsinaaghmdeg-brdzolis-saertashiriso-dghestan-dakavshrebit-sainformatsio-broshurebi-daariga/8594>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და პროკურატურის თანამშრომლებმა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, 2016 წლის 30 ივლისს ხელვაჩაურში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს მოსახლეობასთან.

შეხვედრაზე სამართალდამცველებმა მოქალაქეებს ტრეფიკინგის საფრთხეებისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და მათ შეკითხვებს უპასუხეს. დარიგდა საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელშეწყობით ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე დაიბეჭდა. ღონისძიების ვიდეომასალის ნახვა შესაძლებელია ბმულზე <http://police.ge/ge/acharashi-trefikingis-tsinaaghmdeg-brdzolis-saertashiriso-dghe-aghinishna/9902>

გარდა ამისა, 2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ELHRILI (ევროპული სამართლის და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი) მჭიდრო თანამშრომლობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით დამზადდა საინფორმაციო ტრიპლეტები ტრეფიკინგის საკითხებზე. აღნიშნული მასალა შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გავრცელდა აჭარის

ტერიტორიაზე არსებულ საზღვრის გამშვებ პუნქტებსა და საქართველოს მასშტაბით რისკჯგუფებს მიკუთვნებულ ტერიტორიებზე. საინფორმაციო მასალა დამზადდა 4 ენაზე: ქართული – 10000 ცალი, რუსული – 2500 ცალი, ინგლისური – 2500 ცალი, თურქული – 2500 ცალი.

ფონდი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი აქტიურად ავრცელებს დანაშაულის პრევენციის მიზნით საინფორმაციო ბროშურებს. წინამდებარე საანგარიშო პერიოდში ფონდმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 2015 წლის 10 მარტს ფონდის თანამშრომლების მიერ *დევნილთა მისაღებ ცენტრში* განთავსდა ფონდის მიერ დამზადებული საინფორმაციო ფლაერები ფონდის სერვისების, საკონსულტაციო ცხელი ხაზისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- 2015 წლის 21 აპრილს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ *თბილისის №64 საჯარო სკოლის X-XI-XII* კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებს;
- 2015 წლის 29 აპრილს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ *თბილისის №47 საჯარო სკოლის X-XI-XII* კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებს;
- 2015 წლის 6 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ *თბილისის №62 საჯარო სკოლის X-XI-XII* კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებს;
- 2015 წლის 7 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ *ქ. ტყიბულის №6 საჯარო სკოლის X-XI-XII* კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებს;
- 2015 წლის 8 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ *ქ. ქუთაისის №7 საჯარო სკოლის X-XI-XII* კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

2015 წლის ივნისში ფონდის მიერ დამზადდა 5 000 ცალი ბროშურა სამ ენაზე (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ფონდის სერვისების, ფონდის საკონსულტაციო ცხელი ხაზისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

- 2015 წლის 12 ივნისს ფონდის თანამშრომლების მიერ *დევნილთა მისაღებ ცენტრში* განთავსდა ბროშურები სამ ენაზე;
- 2015 წლის 23 ივნისს ფონდის თანამშრომლების მიერ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბაჟო გამშვები პუნქტის – *სარფის საბაჟოს* – მიმდებარე ტერიტორიაზე დარიგდა ბროშურები სამ ენაზე, ფონდის მიერ დამზადებული მათსურები და საზაფხულო ჩანთები

- ფონდის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით. ბროშურები განთავსდა *სარფის საბაჟოს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის* საინფორმაციო მაგიდაზე;
- 2015 წლის 26 ივნისს ფონდის თანამშრომლების მიერ *ქ. თბილისში, მეტროსადგურების – „რუსთაველისა“ და „დიდუბის“* – მიმდებარე ტერიტორიაზე დარიგდა აღნიშნული ბროშურები, ფონდის მიერ დამზადებული მაისურები და საზაფხულო ჩანთები ფონდის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით;
 - 2015 წლის 20 ივლისს *თბილისის იუსტიციის სახლს* გადაეცა 300 ცალი სამენოვანი ბროშურა, რომლებიც განთავსდა აღნიშნულ დაწესებულებაში არსებულ საინფორმაციო დაფებსა და მომსახურე ოპერატორების მაგიდეებზე;
 - 2015 წლის 21 ივლისს *ქუთაისის იუსტიციის სახლს* გადაეცა 200 ცალი სამენოვანი ბროშურა, რომლებიც განთავსდა აღნიშნულ დაწესებულებაში არსებულ საინფორმაციო დაფებზე;
 - 2015 წლის 22 ივლისს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეცა 300 ცალი სამენოვანი ბროშურა, რომლებიც 2015 წლის სექტემბერში დაურიგდათ ქართულ დიასპორებს;
 - 2015 წლის 30 ივლისს ფონდის წარმომადგენლებმა *ქ. თბილისში, ბუკიას ბაღთან არსებულ სკვერში საინფორმაციო კამპანია* გამართეს. დარიგდა სამენოვანი ბროშურები, მაისურები და ჩანთები ტრეფიკინგის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით;
 - 2015 წლის 30 ივლისს თელავის იუსტიციის სახლს გადაეცა 220 ცალი სამენოვანი ბროშურა, რომლებიც განთავსდა აღნიშნულ დაწესებულებაში არსებულ საინფორმაციო დაფებზე;
 - 2015 წლის 30 ივლისს ფონდის წარმომადგენლებმა სარფის სასაზღვრო პუნქტისა და ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე გამართეს საინფორმაციო კამპანია და დაარიგეს სამენოვანი ბროშურები, მაისურები და ჩანთები ტრეფიკინგის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით. სამენოვანი ფლაერები განთავსდა სარფის საბაჟოს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის საინფორმაციო მაგიდაზე;
 - 2015 წლის 30 ივლისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ბათუმის იუსტიციის სახლს გადაეცა 500 ცალი სამენოვანი ბროშურა, რომლებიც განთავსდა აღნიშნულ დაწესებულებაში არსებულ საინფორმაციო დაფებზე;
 - 2015 წლის 9 ოქტომბერს ფონდის წარმომადგენლებმა საინფორმაციო ბროშურები დაურიგეს ქ. თბილისის კერძო სკოლა „ალბიონისა“ და ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს; იმავე დღეს საინფორმაციო მასალები გავრცელდა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
 - 2015 წლის 28-29 ოქტომბერს საინფორმაციო ბროშურები დაურიგდათ ქ. ახალციხისა და ქ. ახალქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, საჯარო სკოლების მოსწავლეებს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;
 - 2015 წლის 12 ნოემბერს საინფორმაციო ბროშურები დაურიგდათ ქ. თბილისში *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის* სტუდენტებს;
 - 2015 წლის 17 ნოემბერს საინფორმაციო ბროშურები დაურიგდათ ქ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს;

- 2015 წლის 18 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები დაურიგდათ ქ. თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს.

2016 წელს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით ფონდის მიერ დაბეჭდილი 15 000 ცალი ხუთენოვანი ბროშურა (ქართულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), რომლებიც შეიცავდა ინფორმაციას ფონდის სერვისების, ფონდის საკონსულტაციო ცხელი ხაზისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ, გავრცელდა შემდეგ დაწესებულებებსა და სამიზნე ჯგუფებში:

- 2016 წლის 10 მარტს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ ქ. თბილისის №21 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს;
- 2016 წლის 17 მარტს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ ქ. ხაშურის №1 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს;
- 2016 წლის 5 აპრილს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს;
- 2016 წლის 8 აპრილს 100 ცალი ხუთენოვანი ბროშურა გადაეცა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IOM), რომლებიც დარიგდა მათ რეგიონულ ოფისებში და მოსახლეობასთან შეხვედრების დროს;
- 2016 წლის 6 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ თბილისის (გლდანში) №115 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს;
- 2016 წლის 10 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ მარნეულის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს მარნეულის იუსტიციის სახლში;
- 2016 წლის 11 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს;
- 2016 წლის 11 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს;
- 2016 წლის 28 ივლისს ფონდმა დაიწყო მასშტაბური საინფორმაციო კამპანია. ქ. თბილისში, პუშკინის სკვერში, მოეწყო საინფორმაციო კუთხე და მოსახლეობას დაურიგდა საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებიანი მაისურები, ჩანთები და საინფორმაციო ბროშურები;

- 2016 წლის 28 ივლისს ქ. თბილისის იუსტიციის სახლს გადაეცა 2000 ცალი ხუთენოვანი ბროშურა, რომლებიც განთავსდა აღნიშნულ დაწესებულებაში არსებულ საინფორმაციო დაფებსა და მომსახურე ოპერატორების მაგიდეებზე;
- 2016 წლის 30 ივლისს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ფონდმა სარფის სასაზღვრო პუნქტის ტერიტორიაზე საინფორმაციო კამპანია გამართა. ფონდის თანამშრომლების მიერ დარიგდა ხუთენოვანი ბროშურები, მაისურები და ჩანთები ტრეფიკინგის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით;
- 2016 წლის 28 ოქტომბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ საჩხერის რაიონის სოფელ პერევის (საზღვრისპირა სოფელი) საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს, პედაგოგებს;
- 2016 წლის 31 ოქტომბერს საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ ახმეტის რაიონის სოფელ დუისის (საზღვრისპირა სოფელი) საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს, პედაგოგებს;
- 2016 წლის 1 ნოემბერს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ფონდის თანამშრომლებმა ბროშურები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ განათავსეს დევნილთა მისაღებ ცენტრში, მოქალაქეებს გააცნეს ტრეფიკინგის როგორც პრობლემის არსი, პრევენციული ხასიათის ღონისძიებები და სახელმწიფო სერვისები;
- 2016 წლის 21 ნოემბერს საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ ქ. თელავის №4 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებს, პედაგოგებს;
- 2016 წლის 22 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ X-XI-XII კლასების მოსწავლეებს;
- 2016 წლის 9 დეკემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ბროშურები, ჩანთები, მაისურები და „One-pager“-ები დაურიგდათ ყვარლის მუნიციპალიტეტის, სოფელ თივის X-XI-XII კლასების საჯარო სკოლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია)

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ 2015-2016 წლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 18 საინფორმაციო ცენტრში დარიგდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული 40000 ცალი საინფორმაციო ფლაერი (ოთხ ენაზე: ქართული, ინგლისური, რუსული და თურქული) შემდგომი გავრცელების მიზნით.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების სააგენტოსა“ (რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ტრეფიკინგი და ლეგალური მიგრაცია) და სსიპ

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის 2015 წლის 30 ნოემბრიდან 2016 წლის ივლისამდე დადებული მემორანდუმის ფარგლებში 6 საზოგადოებრივ ცენტრში (სართიჭალა, მეჯვრისხევი, ხევი, გეგუთი, მუხაესტატე, ჯვარი) დაიდგა სამოქალაქო განვითარების სააგენტოს სტენდები და განთავსდა ბუკლეტები; ამავე 6 სოფელში ჩატარდა გასვლითი შეხვედრები და მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო ფლაერები.

1.1.5 ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო); 2. ფონდი; 3. სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“; 4. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების სფეროში არაერთი საინფორმაციო შეხვედრა, ტრენინგი თუ ღონისძიება ჩატარდა 2015-2016 წლებში:

- 2015 წლის თებერვალში ქ. ფოთში სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ფაზისში“ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „არალეგალური მიგრაციის პრევენცია და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა“. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია არალეგალური მიგრაციის რისკებისა და ტრეფიკინგთან დაკავშირებული საფრთხეების, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, რეფერალური მექანიზმების გამოყენების შესახებ და ა.შ.;
- 2015 წლის 12 თებერვალს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ სტუდენტებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა საზღვარგარეთ სწავლისა და ლეგალური დასაქმების საკითხებზე. შეხვედრა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შედგა და მისი ორგანიზატორი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) იყო; საინფორმაციო შეხვედრაზე კოლეჯის სტუდენტებმა მიიღეს უახლესი, მიუკერძოებელი ინფორმაცია საზღვარგარეთ სწავლის, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და უცხოეთში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაცია დაფუძნებული იყო აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიღწევებზე, შესაძლებლობებსა და ამოცანებზე;

- 2015 წლის თებერვალში წალენჯიხაში სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადას“ სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ჯვრის კულტურის ცენტრში გამართულ ღონისძიებაში, რომელიც ეძღვნებოდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას;
- 2015 წლის მარტში სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექის“ პროფესიული სტუდენტები დაესწრნენ ტრენინგს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ.
- 2015 წლის მარტში ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადისა“ და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „ქალი და მიგრაცია“. პროექტი დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ. მოწვეულმა სტუმრებმა კოლეჯის სტუდენტებს გააცნეს ის პრობლემები, რომელთაც საქართველოს მოქალაქეები აწყდებიან თურქეთსა და საბერძნეთში მიგრაციის დროს. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა ტრეფიკინგის პრობლემაზე. ღონისძიებაზე დარიგდა ბუკლეტები და ბროშურები „პრაქტიკული რჩევები მიგრანტებისათვის“;
- 2015 წლის 11 მარტს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თელავის ფილიალის ორგანიზებით ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟის“ სტუდენტებისათვის ჩატარდა ლექცია თემაზე: „შრომითი ტრეფიკინგი“;
- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიაში“ (ქუთაისი) 2015 წლის 17-19 მარტს მეწარმე ქალთა ფონდის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს: 1. ტრეფიკინგი; 2. ტრეფიკინგის პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში; 3. ტრეფიკინგისგან თავის დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში და 4. ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია და მონური შრომა;
- 2015 წლის აპრილში ქ. ახალციხეში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარის“ სტუდენტებმა და მასწავლებლებმა. მონაწილეებს დაურიგდათ საინფორმაციო მასალები თემასთან დაკავშირებით;
- 2015 წლის 21 აპრილს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა თბილისის №64 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;
- 2015 წლის 29 აპრილს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა თბილისის №47 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;
- 2015 წლის 6 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა თბილისის №62 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;
- 2015 წლის 7 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ტყიბულის №6 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;

- 2015 წლის 8 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ქუთაისის №7 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;
- 2015 წლის 23 ივნისს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისში“ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან თემაზე: „ლეგალური დასაქმების შესაძლებლობები საზღვარგარეთ და დასაქმების შეთავაზების სანდოობა, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები და მათი პრევენცია“;
- 2015 წლის 9 ოქტომბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისის კერძო სკოლა „ალბიონისა“ და ქ. ბათუმის №1 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან: იმავე დღეს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან;
- 2015 წლის 28-29 ოქტომბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ქ. ახალციხისა და ქ. ახალქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან, საჯარო სკოლების X-XI-XII მოსწავლეებსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- 2015 წლის 12 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებთან;
- 2015 წლის 17 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან;
- 2015 წლის 18 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, შსს-ის სხვადასხვა დანაყოფის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 2015 წლის 18 ნოემბერს თბილისის 191-ე საშუალო სკოლის 44 უფროსკლასელ მოსწავლესთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის თემა ეხებოდა ბავშვთა მიმართ ძალადობას. განხილულ იქნა, ასევე, ბავშვთა ძალადობის ერთ-ერთი ფორმის – არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის, და ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის საფრთხეების საკითხები. შეხვედრაზე მოზარდებს შსს-ის მიერ ძალადობის წინააღმდეგ მომზადებული ვიდეორგოლები უჩვენეს. ვიდეომასალის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <http://police.ge/ge/shss-shi-bavshvta-dzaladobisgan-datsvis-saertashoriso-dghestan-dakavshirebit-mostsavleebtan-shekhvedra-gaimarta/9029>

- 2015 წლის 18 დეკემბერს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „მიგრაცია და არალეგალური მიგრაციის საფრთხეები; ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც დანაშაული; ტრეფიკინგის საფრთხეები და ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა“. ლექციას 40 სტუდენტი დაესწრო. თითოეულ მათგანს მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა. საჯარო ლექციას კითხულობდნენ ქეთევან ხუციშვილი – პროგრამების მენეჯერი (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში), ზვიად დევდარიანი – სამოქალაქო განვითარების სააგენტო „სიდას“ (CiDA) დირექტორი, ქეთევან სარაჯიშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მრჩეველი, დიანა როსტიაშვილი – შსს-ის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი და ქეთი აბულაშვილი – ორგანიზაცია „ემიგრანტები სამოქალაქო განვითარებისთვის“ (აღმასრულებელი დირექტორი, იურისტი, ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით);
- 2015 წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროკურორებმა სტუდენტებისთვის ჩაატარეს საჯარო ლექცია ტრეფიკინგის შესახებ. ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია. ლექციას ესწრებოდა 100 სტუდენტი;
- 2015 წელს საჩხერის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით ქ. ჭიათურის №2 საჯარო სკოლაში ჩაატარდა ლექცია-სემინარი ნარკოტიკული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის თემებზე. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 30 მოსწავლე;
- ზუგდიდის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ტრეფიკინგი თანამედროვე საზოგადოებაში, მისი აცილების გზები და პროკურორის როლი დანაშაულთან ბრძოლის საქმეში“. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 100 სტუდენტი;
- 2016 წლის 10 მარტს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისის №21 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან;
- 2016 წლის 17 მარტს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ხაშურის №1 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან;
- 2016 წლის 5 აპრილს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან;
- 2016 წლის 6 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა თბილისის (გლდანის) №115 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან;
- 2016 წლის 10 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა მარნეულის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან მარნეულის იუსტიციის სახლში;

- 2016 წლის 11 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან;
- 2016 წლის 11 მაისს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან;
- 2016 წლის 30 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სსიპ „ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა“ და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან ერთად სტუდენტებისთვის განახორციელა სამართლის სკოლა და ესეების კონკურსი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 25-მა სტუდენტმა. სამართლის სკოლის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა იმუშავეს სამეცნიერო ნაშრომებზე ტრეფიკინგის თემაზე. ესეების კონკურსის შედეგად გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომლებმაც თავიანთი ნაშრომები წარადგინეს 29 ივლისს ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე;
- 2016 წლის 8-9 ივლისს სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სსიპ ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით განახორციელა ტრენინგთა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე. ორ დღიან ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა“ და სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის“ ტრენინგებმა, რომლებმაც შემდგომ 2016 წლის 30 ივლისს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს მასშტაბით, 25 საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარეს ტრენინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) პრევენცია“. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 215-მდე დაინტერესებულმა პირმა, რომელთაც ტრენინგის დასასრულს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი.
- 2016 წლის 29 ივლისი - 1 აგვისტოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის, ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის თანამშრომლობით ბორჯომში, სასტუმრო „ბორჯომი პალასში“, ჩატარდა საზაფხულო სკოლა „ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სტანდარტები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე“.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც სისხლის სამართლის, ისე ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში იქნა განხილული. მონაწილეებმა დეტალური ცოდნა შეიძინეს ევროპის საბჭოსა და გაერო-ს ფარგლებში შემუშავებული სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და მათი განხორციელების პრაქტიკული მექანიზმების შესახებ. საზაფხულო სკოლის ფარგლებში მოეწყო იმიტირებული სასამართლო პროცესი.

ღონისძიება ორგანიზებული იყო ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში. მასში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის 34 სტუდენტი;

- 2016 წლის ოქტომბერში თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ სტუდენტებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ტრეფიკინგის საკითხზე;
- 2016 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტთან თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამართა კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენციას სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა ესწრებოდნენ სტუდენტებიც;
- 2016 წლის 19 ოქტომბერს სტუდენტებისათვის საქართველოს მასშტაბით გამოცხადდა მიღება მონაწილეობის მიზნით პროექტში „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“. იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები გაიმართა 2017 წლის 4-5 თებერვალს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“. პროექტში მონაწილეობა მიიღო 4 სხვადასხვა უნივერსიტეტის 8 გუნდმა თბილისიდან და ქუთაისიდან. იმიტირებული პროცესი ჩატარდა სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრსა“ და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები იყვნენ, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- 2016 წლის 28 ოქტომბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის (საზღვრისპირა სოფელი) საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;
- 2016 წლის 31 ოქტომბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის

სოფელ დუისის (საზღვრისპირა სოფელი) საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;

- 2016 წლის 12 ნოემბერს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ადვოკატებისა და სამართალმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები“. ტრენინგს უძღვებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენერები ანა ლორია და იოსებ გაბარაევი. ტრენინგში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის და მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებიც სტაჟირებას გადიან იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროში;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ბავშვთა ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის დღესთან დაკავშირებით 2016 წლის 18 ნოემბერს შსს-ში მოზარდებთან შეხვედრა გამართა. საინფორმაციო-შემეცნებით შეხვედრაზე შსს-ის წარმომადგენლები ბავშვებს ძალადობის ფორმების, მათ შორის, ბულინგის, არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის და ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის საფრთხეების, სხვადასხვა მძიმე დანაშაულის და მათი პრევენციის, ასევე, ძალადობისგან დაცვის არსებული მექანიზმების შესახებ ესაუბრნენ. სამართალდამცველებმა ისეთი დანაშაულებიც განიხილეს, სადაც შესაძლოა, ბავშვები ჩართული იყვნენ როგორც მსხვერპლები ან მოწმეები. ვიდეომასალის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <http://police.ge/ge/shss-shi-bavshvta-dzaladobisgan-da-seqsualuri-eqspluatatsiisgan-datsvis-dghestan-dakavshirebit-shekhvedra-gaimarta/10177>
- 2016 წლის 21 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თელავის №4 საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან;
- 2016 წლის 22 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან;
- 2016 წლის 9 დეკემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივის საჯარო სკოლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2015 წლის მაისიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმებისა და კანონით

გათვალისწინებული მოქალაქეების უფლების შესახებ, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით.

2015 წლის 01-14 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის – „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ – ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, მათ შორის, ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, თანამშრომლებმა შეხვედრა ჩაატარეს თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში. შსს-ს წარმომადგენლები მოსწავლეებს ესაუბრნენ ორგანიზებული დანაშაულის ფორმებზე, როგორიცაა: ქურდული სამყაროს წევრობა, ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული და მისი პრევენცია. შეხვედრაზე მოზარდებმა მონაწილეობა მიიღეს როლურ თამაშში, რომლის თემა იყო „დანაშაულის პრევენცია“. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

ამასთან, 2015 წლის მაისსა და დეკემბერში, 2016 წლის აპრილი-მაისსა და ოქტომბერ-ნოემბერში იმავე პროექტის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შსს-ის თანამშრომლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 50 სკოლაში, რომლის თემა იყო ტრეფიკინგის ფაქტების იდენტიფიცირება და ტრეფიკინგის საფრთხეებისგან თავის დაცვის გზები.

1.1.6 ყოველწლიურად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. ფონდი; 2. სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“; 3. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2016 წლის 19 ოქტომბერს სტუდენტებისათვის საქართველოს მასშტაბით გამოცხადდა მიღება მონაწილეობის მიზნით პროექტში „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“. პროექტის ზეპირ რაუნდებში მისაღებად პროექტში დარეგისტრირებული 21 გუნდიდან შეირჩა 8 საუკეთესო

გუნდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტიდან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები გაიმართა 2017 წლის 4-5 თებერვალს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“. იმიტირებული პროცესის ფინალურ რაუნდში გადავიდნენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. პროექტის გამარჯვებულები თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. მათ იურიდიული ლიტერატურა და პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ. ამასთან, გამარჯვებულები 2017 წლის განმავლობაში გაივლიან კვლევით პრაქტიკასაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტში.

პროექტი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) მჭიდრო თანამშრომლობით და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

1.1.7 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; 2. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; 3. სახალხო დამცველის აპარატი

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

2015-2016 წლებში ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში სამოქმედო გეგმის 1.1.7. პუნქტით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფებთან არაერთი

შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების, ამ დანაშაულთან ბრძოლისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ:

- 2015 წლის ოქტომბერში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ქვემო ქართლის რეგიონში (დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლები – ამამლო და ოროზმანი; და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლები – ქვემო ბოლნისი და ნახიდური) გაიმართა შეხვედრები გოგონათა უფლებების შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილდა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრებში საჯარო სკოლების 200-მდე უფროსკლასელი გოგონა, ასევე, მათი მშობლები და პედაგოგები მონაწილეობდნენ;
- 2015 წლის აპრილსა და ოქტომბერში იუსტიციის სამინისტროს, ფონდის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებმა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს ახალციხეში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში (161 მონაწილე);
- 2015 წლის ივნისში ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან გაიმართა, ასევე, შეხვედრები თიანეთში, მარნეულსა და კაზრეთში (150 მონაწილე);
- 2016 წლის 19 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე განხილულ იქნა სახელმწიფო პოლიტიკა ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. სოფელ სადახლოს მოსახლეობას იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა, განხილულ იქნა ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლისადმი სახელმწიფოს დახმარება, ამ მიმართულებით არსებული სხვადასხვა სერვისი და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა;
- 2016 წლის მაისში იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო ფონდისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან გამართეს შეხვედრები სართიჭალასა და მარნეულში (40 დამსწრე);
- 2016 წლის 22 ნოემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლის X-XI-XII კლასების ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან (40 მონაწილე);
- 2016 წლის 9 დეკემბერს ფონდის წარმომადგენლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ყვარლის მუნიციპალიტეტის

სოფელ თივის საჯარო სკოლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ X-XI-XII კლასების მოსწავლეებთან (15 მონაწილე).

1.1.8 ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებგვერდებზე და ერთიანი ვებგვერდის შექმნა

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 6. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; 7. ფონდი; 8. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

წინამდებარე სამოქმედო გეგმის 1.1.8. პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ეროვნული რეფერალური მექანიზმის, სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების, სტატისტიკური მონაცემებისა და საგრანტო კონკურსების შესახებ. ამასთან, ვებგვერდი პერმანენტულად განახლების პროცესშია – თავსდება განახლებული ინფორმაცია: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/309>

დამატებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ და ხდება არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება: <http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba>.

საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე აქტიურად მიმდინარეობს ტრეფიკინგის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განაჩენის გამოტანის შემთხვევებში საზოგადოების ინფორმირება. ყველა საქმეზე იდება შესაბამისი პრესრელიზები: <http://www.pog.gov.ge/>

ტრეფიკინგის ფაქტების პრევენციის და შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. მითითებული ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია

სამინისტროს ვებგვერდზე. ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე, რიგ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის საკითხებზე. ვებგვერდზე გამოტანილი ინფორმაცია, ასევე, შეიცავს ადგილსამყოფელ ქვეყანაში ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებს: <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/Trafficking.aspx>

ფონდს აქვს 2016 წელს განახლებული საკუთარი ვებგვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ კანონმდებლობის, ფონდის სერვისებისა და ფონდის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ფონდს, ასევე, აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში (*Facebook*) სახელწოდებით – „*Atipfund Georgia*“, სადაც აქტიურად განიხილება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული ინფორმაციები: <http://www.atipfund.gov.ge/>

1.1.9 შრომის კანონმდებლობის გადახედვა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სამოქმედო გეგმის 1.1.9. პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, შრომის ინსპექტირების სისტემის უწყებრივი გაძლიერების მიზნით 2015 წელს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 მარტის №81 დადგენილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტის სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ცვლილებები არაერთ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, 2015 წლის 21 აპრილს დამტკიცდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის დებულება, რომლის საფუძველზეც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შრომის ინსპექტორები ახორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობას.

ტრეფიკინგის, კერძოდ კი, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შექმნის მიზნით სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილებები შეიმუშავა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონებში. აღნიშნული

საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2015 წლის 22 ივლისს, ხოლო ძალაში შევიდა 2016 წლის 1-ლი იანვრიდან.

2016 წლის 7 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №112 დადგენილება „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის“ შესახებ, რომლის საფუძველზეც შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს მიენიჭა უფლებამოსილება, განახორციელოს საჯარო და კერძო საწარმო/ორგანიზაციების გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება ტრეფიკინგის შესაძლო ნიშნების აღმოჩენისა და ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის მიზნით.

სამინისტრომ, ასევე, გაითვალისწინა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ ევროკომისიის 2015 წლის 8 მაისის მე-3 ანგარიშში მითითებული რეკომენდაციები და 2015 წლის 13 აგვისტოს გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოვლენის ხელშეწყობის შესახებ. მემორანდუმის ფარგლებში ორგანიზაციების შემოწმებისას თუ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი ეჭვობს, რომ სახეზეა იძულებითი შრომის ან/და შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო ნიშნები, იგი ახდენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ინფორმირებას, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისი საგამომიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველზე ადგენს, არის თუ არა სახეზე შრომითი ექსპლუატაციის ან/და იძულებითი შრომის ნიშნები.

ამასთან, 2016 წლის 15 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-86/ო ბრძანების შესაბამისად, დამტკიცდა ტრეფიკინგის ნიშნით შესამოწმებელ საწარმო/ორგანიზაციათა რეესტრი 2016 წლისათვის. რეესტრში შეყვანილ იქნა 91 კერძო კომპანია, სადაც, წინასწარი ინფორმაციით, შესაძლოა, ყოფილიყო იძულებითი შრომის ან/და შრომითი ექსპლუატაციის ნიშნები. საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად, სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ყოველი წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშავებს შესამოწმებელი კომპანიების კრიტერიუმებს და რეესტრს, რის შემდეგაც წარუდგენს მას მინისტრს დასამტკიცებლად.

2016 წლის განმავლობაში, გარდა გეგმური შემოწმებებისა, დეპარტამენტმა განახორციელა 7 არაგეგმური შემოწმება ცხელი ხაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. სულ შემოწმებული 98 კომპანიიდან ერთი საქმე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგის შესაძლო ნიშნების არსებობის გამო.

ამასთან, 2016 წლის 07 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-78/ო ბრძანებით დამტკიცდა „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში გამოსაყენებელი ანკეტის ფორმა“, რომლის საფუძველზეც შრომის

პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შრომის ინსპექტორები ახორციელებენ საწარმო/ორგანიზაციებში დასაქმებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, ხოლო შემდეგ შესაბამის აქტში ასახავენ გამოკითხვის შედეგებს.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2016 წლის დეკემბერში 2017 წლისათვის მოამზადა 107 შესამოწმებელი კომპანიის რეესტრი.

გარდა ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი განახლებისა და დახვეწის მიზნით ახორციელებს ევროკავშირის დირექტივების შესწავლას და მის ტრანსპოზიციას ეროვნულ დონეზე. ამ მიზნით შრომის ინსპექტირების დეპარტამენტმა შესაბამისი კანონპროექტები მოამზადა შემდეგი დირექტივების შესაბამისად:

1. დასაქმებულების მიერ სამუშაო ადგილზე სამუშაო ალჭურვილობის გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ;
2. სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ;
3. ტვირთის ხელით გადატანის უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების საკითხზე, რომლის დროსაც არსებობს მუშაკის მიერ ზურგის დაზიანების რისკი (მეოთხე ინდივიდუალური დირექტივა, №89/391/EEC დირექტივის მე-16 (1) მუხლის კონტექსტში) (90/269/EE);
4. მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეხუთე ინდივიდუალური დირექტივა №89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში);
5. უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნების სამუშაო ადგილზე განთავსებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ;
6. სამუშაო ადგილებზე სამუშაო ალჭურვილობის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები;
7. ფეთქებადსაშიშ გარემოსგან მომდინარე რისკებისგან დაცვა.

1.2 ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

1.2.1 ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების პრობლემის შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სოციალური მომსახურების სააგენტო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო); 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 4. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 5. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“

სამოქმედო გეგმის 1.2.1. პუნქტით გათვალისწინებული აქტივობის შესაბამისად, 2015-2016 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხთან დაკავშირებით.

უპირველესი გამოწვევა ამ კატეგორიის ბავშვებთან მიმართებით იყო ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ განისაზღვრებოდა, თუ ვინ წარმოადგენდა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვის კატეგორიას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვა მთელ რიგ პრობლემებთან. კერძოდ, იმის გამო, რომ ბავშვები არ არიან აღრიცხულნი და მათ არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია, ისინი ვერ იღებენ განათლებას და ვერ ხერხდება მათი ჩართვა სხვადასხვა სოციალურ თუ სამედიცინო სახელმწიფო პროგრამაში. ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, არ არსებობდა, ასევე, მისი მოძალადისაგან მყისიერად განცალკევების მექანიზმი.

ამ საკითხების კანონის დონეზე მოწესრიგების მიზნით 2014 წლის 14 ნოემბერს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილნი იყვნენ როგორც სამთავრობო უწყებები, ისე საკითხით პირდაპირ დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. სამუშაო ჯგუფმა საკანონმდებლო ცვლილებები შეიმუშავა შემდეგ საკანონმდებლო აქტში: 1. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში; 2. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონში; 3. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში; 4. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“; 5. „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“; 6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“; 7. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“; 8. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“; 9. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და 10. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტმა შემოიტანა ცნება „მიუსაფარი ბავშვი“, რომლის თანახმად, მიუსაფარ ბავშვად ითვლება ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე 18 წლამდე ასაკის

პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, მამიებლის ანკეტის საფუძველზე.

აღნიშნული დეფინიციის საკანონმდებლო დონეზე შემუშავებამ საშუალება მისცა სახელმწიფოს, ამ კატეგორიის ბავშვებს მოუწესრიგოს საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია, რაც, თავის მხრივ, მიუსაფარი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომს გახდის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისს.

ასეთი ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიეცა უფლება, მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიუსაფარი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის გაცემის თხოვნით. აქამდე ამის შესაძლებლობა მხოლოდ ბავშვის მშობელსა და მეურვეს ჰქონდათ. ცვლილებების ამოქმედების შედეგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივის თანახმად, მიუსაფარ ბავშვებზე დოკუმენტები უსასყიდლოდ გაიცემა; დოკუმენტაციის მოწესრიგების შემდგომ კი მათ საშუალება ექნებათ, მიიღონ განათლება, შემწეობა და ჩაერთონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებში.

ცვლილებები, ასევე, უფრო ქმედითს ხდის არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებს. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირის – სოციალური მუშაკის, როლი, რომელსაც მიენიჭა უფლება, გადაუდებელი აუცილებლობისას მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის მოძალადისაგან დაუყოვნებლივ განცალკევების თაობაზე.

შესაძლებელი გახდა, ასევე, არასრულწლოვნის დაცვა გარეშე პირის ძალადობისგან. კანონში შემოვიდა „სხვა პირის“ ცნება, რომელიც შესაძლოა, ახორციელებდეს ძალადობას მოზარდზე. ამ ცვლილების მიზეზი ის გარემოებაა, რომ ხშირად შეუძლებელია დადგენა, კონკრეტულად, ვინ ძალადობს ბავშვზე. სოციალურ მუშაკს აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის არა მარტო მოძალადე მშობლისგან ან კანონიერი წარმომადგენლისგან, არამედ სხვა პირისაგან განცალკევების თაობაზეც. აუცილებლობის შემთხვევაში კი, მოხდება მშობლის უფლებების შეჩერება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენება და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა შეძლონ ბავშვისთვის დახმარების, მათ შორის, სამედიცინო დახმარების, შეთავაზება.

საკანონმდებლო ცვლილებებით სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობისთვის, ასევე, დაწესდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – იმ პირისათვის, ვინც აღნიშნული გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებულია.

აღნიშნული ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2016 წლის 22 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 2016 წლის 10 აგვისტოდან.

გარდა ამისა, მიუსაფარი ბავშვებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის გაცემის მიზნით 2016 წლის 10 აგვისტოდან შესაბამისი ცვლილებები შევიდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს **იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98** და „დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს **იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის №50 ბრძანებებში**, ხოლო 2016 წლის 18 აგვისტოდან - „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს **მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებაში**.

ცვლილების შედეგად, 2016 წელს 3 მიუსაფარ ბავშვზე გაიცა დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, ხოლო 1 ბავშვზე გაიცა პირადობის ელექტრონული მოწმობა.

ამასთან, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, ნაცვლად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებისა, 2016 წლის 12 სექტემბერს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებმა გააფართოვა აღნიშნულ პროცედურებში ჩართული უწყებების წრე, რაც ხელს შეუწყობს კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით ოჯახში და მის გარეთ ბავშვის დაცვას ყველა ფორმის ძალადობისგან.

საგულისხმოა, რომ, აღნიშნული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების საფუძველზე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის №04-519/ო ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“.

ამასთან, საჯარო სკოლებმა, როგორც რეფერირების პროცედურებში ჩართულმა სუბიექტებმა, შეიმუშავეს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები.

აღნიშნული ინსტრუქციის საფუძველზე სკოლებში დანიშნულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელ პირები –

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, მანდატურის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე.

სკოლების საერთო მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია შემოწმება, თუ რამდენად ეფექტიანად და სწორად ხორციელდება საჯარო სკოლების მიერ რეფერირების პროცედურები.

გარდა ამისა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების ეფექტიანად გამოვლენის მიზნით შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დამტკიცებული აქვს მობილური ჯგუფების მიერ გასატარებელი ღონისძიებები და მიუსაფარი ბავშვების პრობლემების გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების სტრატეგია და გეგმა, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მუშაობა გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

1.2.2 ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება, მათი ინფორმირება იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სოციალური მომსახურების სააგენტო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირების მიზნით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ფარგლებში მოქმედებს 3 მობილური ჯგუფი. აღნიშნული მობილური ჯგუფები ცდილობენ, დაამყარონ ურთიერთობა ამ კატეგორიის ბავშვებთან, მოახდინონ ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი დახმარება. მობილური ჯგუფის წევრები ბავშვებთან კონტაქტის დროს ახდენენ მათ ინფორმირებას სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, იძულებითი შრომისა და სექსუალური ექსპლუატაციის თაობაზე.

მობილური ჯგუფების მუშაობის შედეგად 2015-2016 წლებში იდენტიფიცირებულ იქნა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე 342 ბავშვი.

2016 წლის დეკემბერში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ დახმარებით 2 უფროს სოციალურ მუშაკს ჩაუტარდა ტრენინგი ბავშვთა ტრეფიკინგისა და მსხვერპლთა მომსახურების მიწოდების თაობაზე.

2017 წელს იგეგმება აღნიშნულ საკითხებზე მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრენინგების ჩატარება.

1.2.3 ქუჩაში მცხოვრებ და ქუჩაში მომუშავე ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა ეფექტიანი იდენტიფიცირების ხელშეწყობის მიზნით 2016 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი თემაზე: „ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“.

საგრანტო პროგრამა გულისხმობს, ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ იდენტიფიცირებულ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დანაშაულის მეორე დონის პრევენციის პროგრამებში ჩართული ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისათვის საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროგრამების შეთავაზებას, მეორე მხრივ კი, მიუსაფარი ბავშვების საკითხთან დაკავშირებით სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის მომზადება შესაბამის უწყებებთან კოორდინაციითა და თანამშრომლობით, რაც დაეხმარება მობილურ ჯგუფებს ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებაში. ამასთან, საგრანტო პროგრამა მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ახალი ლოკაციების იდენტიფიცირებას არასამუშაო საათებსა და უქმე დღეებში.

საგრანტო კონკურსი, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის ბავშვების იდენტიფიცირებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაში და მათ განვითარებასა და გაძლიერებას.

საგრანტო კონკურსი გულისხმობს გამარჯვებული ორი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ჯამში 54000 ლარის გრანტის გაცემას.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის შედეგად გამოვლინდა 2 გამარჯვებული: „World Vision International“-ის ფილიალი საქართველოში“ და „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“, რომლებმაც საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დაიწყეს 2017 წლის იანვრიდან.

1.2.4. ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების (რომლებიც არ ირიცხებიან სკოლაში) ფორმალურ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობა

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2015 და 2016 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისთვის“, რომელიც შემუშავდა და დაიგეგმა ქვეპროგრამის – „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის საქართველოში“ – ფარგლებში. პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური დაცვის სააგენტოს“ დაქვემდებარებაში არსებული მიუსაფარი ბავშვების სადღეღამისო თავშესაფრებსა და დღის ცენტრებში მყოფი ბავშვები (ქ. თბილისში, ქ. რუსთავსა და ქ. ქუთაისში). სპეციალური სერვისის განხორციელების მიზანია სკოლის მიღმა დარჩენილი და დარჩენის მაღალი რისკის მქონე მიუსაფარი ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და აკადემიური უნარების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობა მათი ფორმალურ განათლებაში ჩართვისა და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისთვის.

2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო:

- 23 მიუსაფარი ბავშვი (მათი უმეტესობა ირიცხებოდა სკოლაში, მაგრამ ვერ ახერხებდა ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში);
- 3 ბენეფიციარი ჩაირიცხა სკოლაში;
- 3 ბენეფიციარი აღდგა შესაბამის კლასში;
- 1 ბენეფიციარი გადავიდა ასაკის შესაბამის კლასში;
- 2 ბენეფიციარი ჩაერთო პროფესიული გადამზადების პროგრამაში.

2016 წელს პროგრამაში ჩაერთო:

- 80-მდე მიუსაფარი ბავშვი (მათი უმეტესობა ირიცხებოდა სკოლაში, მაგრამ ვერ ახერხებდა ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში);
- 21 მათგანი ჩაირიცხა სკოლაში;
- 4 ჩაერთო პროფესიული გადამზადების პროგრამაში.

ამასთან, 2015-2016 წლებში 46 საჯარო სკოლაში პედაგოგებისა და დირექტორებისთვის, სადაც მიუსაფარი ბავშვები ირიცხებიან, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის სტრატეგიები“ (რაოდენობა – 200).

ასევე, 26 საჯარო სკოლაში განხორციელდა საინფორმაციო კამპანია სკოლის მოსწავლეთა მშობლებისთვის, რომლის მიზანი იყო მიუსაფარი ბავშვების მიმართ არსებული სტიგმის დაძლევა (1150 მონაწილე).

2. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა

2.1 ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) ეფექტური საქმიანობა

2.1.1 ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების საქმიანობის მონიტორინგი და მონიტორინგის საფუძველზე ანგარიშის მომზადება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – ფონდი

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგისა და შესაბამისი მონიტორინგის ანგარიშის შემუშავებას. ამასთან მიმართებით გარკვეული პერიოდულობით ფონდი ახორციელებს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაწესებულებების (თავშესაფრების) საქმიანობის მონიტორინგს, რაც გამოიხატება ცენტრალური აპარატის ბაზაზე შექმნილი **მონიტორინგის სამსახურის** მიერ თავშესაფრის ადგილზე შემოწმებით. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული სამსახური ახორციელებდა თავშესაფრების მონიტორინგს ფონდის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

დამატებითი ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ფონდის მიერ გაწეული მომსახურებების შესახებ წარმოდგენილია *დანართ №1-ში*.

2.1.2 ეროვნული რეფერალური მექანიზმის ფუნქციონირების ყოველწლიური შეფასება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული რეფერალური მექანიზმის ფუნქციონირების შეფასების საჭიროება არ დამდგარა.

2.1.3 არსებულ თავშესაფრებში მომსახურების მიწოდებისას ბავშვის საჭიროებების გათვალისწინება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 2. ფონდი

სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტრეფიკინგის თავშესაფრებში მომსახურების მიწოდებისას ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებას. ამასთან მიმართებით ფონდის სტრუქტურული ერთეულების – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) მომსახურებით (თბილისსა და ბათუმში) სარგებლობა, გარდა სრულწლოვნებისა, შეუძლიათ:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს მათზე დამოკიდებული პირ(ებ)ითურთ (18 წლამდე არასრულწლოვანი, ასევე, პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული);
- 18 წლამდე არასრულწლოვან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს.

თავშესაფარი ბენეფიციარებს და მათზე დამოკიდებულ პირ(ებ)ს *(მათ შორის, არასრულწლოვნებს)* უზრუნველყოფს შემდეგი სახის უფასო 24-საათიანი (სადღელდამისო) მომსახურებით:

- ა) ადამიანის არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი;
- ბ) საკვები და ტანსაცმელი;
- გ) სამედიცინო დახმარება შესაბამისი მედიკამენტებითა და მკურნალობით;
- დ) ფსიქოლოგიური დახმარება (ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპია);
- ე) იურიდიული დახმარება და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო წარმომადგენლობა;
- ვ) ბენეფიციართათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – თარჯიმნის მომსახურება;
- ზ) ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამებში მონაწილეობა;
- თ) არასრულწლოვან ბენეფიციართათვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა;
- ი) ყველა ის ღონისძიება, რომლებიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას;
- კ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებები.

თავშესაფრებში გათვალისწინებულია ბავშვ(ებ)ის აღზრდისა და კვების სპეციფიკა და თავისებურებანი. თავშესაფრების მომსახურებები, ასევე, მორგებულია არასრულწლოვანთა მოთხოვნებს და სერვისების მიწოდება ხორციელდება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთან, თავშესაფარი ზრუნავს არასრულწლოვანი ბენეფიციარებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფაზე.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებისათვის ფონდის დირექტორის 2015 წლის 10 აგვისტოს №07 -132/ო ბრძანებით დამტკიცდა „რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული არასრულწლოვნისა და მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული არასრულწლოვნის

რეაბილიტაციისა (გადაუდებელი საჭიროებები და გაწეული მომსახურებები) და რეინტეგრაციისთვის (სასურველი საჭიროებები, რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმა და გაწეული მომსახურებები) საჭირო ღონისძიებებს.

თავშესაფარში შესაძლებელია ფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა (სკოლა, ბაღი და ა.შ.) და მხარდაჭერა არაფორმალური განათლების მიღებაში (ხელოვნება, სპორტი, ქორეოგრაფიული წრეები).

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანი ბენეფიციარის თავშესაფარში განთავსების შესახებ ინფორმაცია დაუყონებლივ ეგზავნება სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, რომელიც იწყებს ზედამხედველობის განხორციელებას ბავშვის რეაბილიტაციის პროცესზე. თავშესაფარი ვალდებულია, რეგულარულად მიაწოდოს სააგენტოს სოციალურ მუშაკს ინფორმაცია ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელოს მომსახურების შეცვლა და მისი გადაყვანა სხვა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ სერვისებში (მცირე საოჯახო ტიპის სახლები, მინდობით აღზრდა და ა.შ.). ფონდის თავშესაფარი ერთ-ერთი სერვისია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი არასრულწლოვნებისათვის და სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას, რამდენად მიზანშეწონილია კონკრეტულ შემთხვევებში არასრულწლოვანი მსხვერპლის თავშესაფარში ყოფნა.

2015 წლის აგვისტოში თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარი) დაემატა ფსიქოლოგის შტატი. ფსიქოლოგი (თავშესაფრის შინაგანაწესიდან გამომდინარე) ახორციელებს ბენეფიციარებთან ინდივიდუალურ და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფურ მუშაობას, მონაწილეობს ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის გეგმის შემუშავება-განხორციელების პროცესში, ეხმარება ბენეფიციარებს სოციალურ ადაპტაციასა და ინტეგრაციაში, სისტემატურად უწევს კონსულტაციას და აძლევს რეკომენდაციას თავშესაფრის თანამშრომლებს ბენეფიციარების საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე, ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს თავშესაფრის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

გარდა ამისა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირებისა და არასრულწლოვანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლების მომსახურებების გაუმჯობესების მიზნით 2015 წელს თბილისისა და ბათუმის თავშესაფრებს დაემატათ ძიძის შტატი (თითოეულ თავშესაფარში ერთი ერთეული, ჯამში – 2 საშტატო ერთეული). ფონდის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით თავშესაფრების შინაგანაწესებში გაიწერა ძიძის უფლება-მოვალეობები, რომელთა თანახმად, ძიძა ახორციელებს არასრულწლოვანი ბენეფიციარისა და თავშესაფრის ბენეფიციარის თავშესაფრიდან დროებით გასვლის შემთხვევაში მისი არასრულწლოვანი დამოკიდებული

პირ(ებ)ის მოვლა-პატრონობას. ძიძა ეხმარება თავშესაფრის ბენეფიციარს არასრულწლოვანი დამოკიდებული პირ(ებ)ის მოვლა-პატრონობაში.

2.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ და დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

2.2.1 უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საჭიროების შემთხვევაში დროებითი ბინადრობის ნებართვით უზრუნველყოფა

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 2. ფონდი

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე ტრეფიკინგით დაზარალებული პირი საქართველოში ლეგალურად ცხოვრებითა და მუშაობით, საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ტრეფიკინგის მსხვერპლისა და დაზარალებულისათვის სპეციალური ბინადრობის ნებართვის მოწმობის გაცემას. ბინადრობის ნებართვის მოწმობას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის ან სახელმწიფო ფონდის მიმართვის საფუძველზე.

2015-2016 წლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაზარალებულად ცნობილ უცხო ქვეყნის 10 მოქალაქის სახელზე გასცა სპეციალური ბინადრობის ნებართვა.

2.2.2 უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის გაგებით უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 2. ფონდი

2015 წლის 19 მაისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით უზბეკეთის ერთი მოქალაქე, ტრეფიკინგის მსხვერპლი (ქალი,) დაბრუნდა თავის სამშობლოში, უზბეკეთში.

2015 წლის 28 დეკემბერს საქართველოში იდენტიფიცირებული უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე, ტრეფიკინგით დაზარალებული (ქალი), რომელმაც ისარგებლა თავშესაფრის მომსახურებებით, ფონდის ჩართულობითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით დაბრუნდა თავის მშობლიურ ქვეყანაში, ყირგიზეთში.

2016 წლის 5 თებერვალს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით, ასევე, უზბეკეთის ერთი მოქალაქე, ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალი, დაბრუნდა თავის სამშობლოში, უზბეკეთში.

2016 წლის 19 ივნისს საქართველოში იდენტიფიცირებული ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე, ტრეფიკინგის მსხვერპლი (ქალი), რომელმაც ისარგებლა თავშესაფრის მომსახურებებით, ფონდის ჩართულობით დაბრუნდა თავის მშობლიურ ქვეყანაში, უზბეკეთში.

2.2.3 ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოს მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების ხელშეწყობა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ტრეფიკინგის მსხვერპლების რეაბილიტაციის უზრუნველყოფა

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – ფონდი

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საგარეო საქმეთა სამინისტრო; 2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ფონდის თავშესაფრით მოსარგებლეზე თითოეული ტრეფიკინგის მსხვერპლის/დაზარალებულის მიმართ დგება და ხორციელდება რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმა.

რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალურ გეგმაში დეტალურად ხდება ბენეფიციართან დაკავშირებული მიზნების (სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალური პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა, ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაცია და სხვა), მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობებისა და შესრულების ვადების განსაზღვრა. ზემოაღნიშნული გეგმა მორგებულია არასრულწლოვან ბენეფიციარებსა და ბენეფიციარზე დამოკიდებულ არასრულწლოვან პირებზე. პერიოდულად

ხორციელდება რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმების გადასინჯვა/შეფასება.

2015 წელს ტრეფიკინგის მსხვერპლებმა/დაზარალებულებმა ისარგებლეს შემდეგი მომსახურებით:

- თავშესაფრის მომსახურება: 8 ბენეფიციარი (2 დამოკიდებული პირი);
- სამართლებრივი მომსახურება: 25 ბენეფიციარი;
- სამედიცინო მომსახურება: 5 ბენეფიციარი;
- ფსიქოლოგიური მომსახურება: 6 ბენეფიციარი;
- კომპენსაციის მიღება: 18 ბენეფიციარი.

2016 წელს:

- თავშესაფრის მომსახურება: 4 ბენეფიციარი;
- სამართლებრივი მომსახურება: 6 ბენეფიციარი;
- სამედიცინო მომსახურება: 1 ბენეფიციარი;
- ფსიქოლოგიური მომსახურება: 1 ბენეფიციარი;
- კომპენსაცია: 2 ბენეფიციარი.

ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობდა მუშაობას საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით და საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების საშუალებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებისათვის და მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნებაში ხელის შეწყობისათვის.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის/საკონსულო დაწესებულების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა, რაც გულისხმობს მათ საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნებაში ხელშეწყობას, საქართველოში დასაბრუნებლად განკუთვნილი შესაბამისი დოკუმენტებით უზრუნველყოფასა და, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ადგილსამყოფელი ქვეყნის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობას. ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია იგზავნება საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებში.

2015 წელს თურქმენეთში საქართველოს საელჩოს მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს მოქალაქის მიმართ ჩადენილ ტრეფიკინგის სავარაუდო ფაქტს, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებთან, ასევე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან კოორდინაციით შემუშავდა საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების გეგმა. შედეგად, 2015 წლის 1 ივლისს საქართველოს საელჩოს მიერ მის სახელზე გაიცა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა.

ამასთან, 2016 წლის მარტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში შემოსული განცხადების საფუძველზე, მიმდინარეობდა მუშაობა თურქეთის რესპუბლიკაში მყოფი ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლის, საქართველოს მოქალაქის საქართველოში დაბრუნების თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ მიმართა ადგილობრივ კომპეტენტურ უწყებებს. თურქეთის შესაბამისი უწყებების მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად, გაირკვა, რომ 2016 წლის აპრილში ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლი საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა საქართველოში. თურქეთის მხრიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თურქეთის სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა ბრალდებული პირების მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, 2016 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ორი მოქალაქე დაბრუნდა თურქეთიდან საქართველოში.

2.2.4 რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების შესწავლა და დახვეწა ახალი ტენდენციების შესაბამისად

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საკოორდინაციო საბჭო; 2. ფონდი

ფონდის თავშესაფრების ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმების დახვეწისა და განახლების მიზნით, თავშესაფრების ადმინისტრაციის ჩართულობით, ფონდის იურიდიული სამმართველოს მიერ მომზადდა რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმისა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის გადასინჯვა/შეფასების პროექტები, რომლებიც დამტკიცდა ფონდის დირექტორის 2016 წლის 31 აგვისტოს №07-115/ო ბრძანებით. განახლებულ რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალურ გეგმაში დეტალურად ხდება ბენეფიციართან დაკავშირებული მიზნების, მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობებისა და შესრულების ვადების მითითება. ზემოაღნიშნული გეგმები მორგებულია არასრულწლოვან ბენეფიციარებსა და ბენეფიციარზე დამოკიდებულ არასრულწლოვან პირებზე. პერიოდულად ხორციელდება რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმების გადასინჯვა/შეფასება.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა

3.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისათვის პროაქტიული მიდგომების და სხვა უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვა საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გამოყენებით

3.1.1 სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ საჭიროების შემთხვევაში დასრულებული საქმის ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3. საქართველოს უზენაესი სასამართლო; *დამხმარე პასუხისმგებელი უწყება* – 1. საუწყებათაშორისო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო); 2. ფონდი

2015 წლის 22 დეკემბერს თბილისში გაიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პროკურორებისა (6) და მოსამართლეების (4) სამუშაო შეხვედრა. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს (იუსტიციის სამინისტრო) წარმომადგენელი.

შეხვედრაზე პროკურორებმა მოსამართლეებთან ერთად განიხილეს ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი ტენდენციები, ტრეფიკინგის ნორმის ინტერპრეტაცია, შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების კვალიფიკაცია; იმსჯელეს პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე.

2016 წელს მსგავსი შეხვედრის საჭიროება არ დამდგარა.

2.2.5 გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისთვის შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურების (SOPs) დანერგვის ხელშეწყობა

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

2014 წელს საუწყებათაშორისო საბჭოს ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs), რომელთაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით ჩაუტარდა საერთაშორისო ექსპერტიზა. შედეგად, 2015 წლის 23 იანვარს სტანდარტული ოპერატიული პროცედურები გამომძიებლებისთვის, ოპერატიული მუშაკებისა და შემოწმების მობილური ჯგუფის წევრებისათვის დამტკიცდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №54 ბრძანებით. „SOPs“-ის პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვის მიზნით დოკუმენტი დაეზავნა ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამართალდამცველებს. ისინი ყოველდღიურად იყენებენ მას როგორც სახელმძღვანელო ინსტრუქციას ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით.

2.2.6 სამართალდამცავი ორგანოებისათვის შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელების, ასევე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის წარმოების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის აქტიური ჩართულობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადდა პროკურორებისა და გამომძიებლებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც დამტკიცდა 2014 წლის 12 თებერვალს საბჭოს სხდომაზე. დოკუმენტის მიზანია, დახმარება გაუწიოს სამართალდამცველებს ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში, რათა უფრო ეფექტიანად მოხდეს ტრეფიკინგის მსხვერპლის გამოვლენა, მისი დაცვა და ტრეფიკინგის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. სახელმძღვანელო პრინციპებში დეტალურად არის ასახული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიების სტანდარტები, კერძოდ: ეფექტიანი, სრულყოფილი და პროაქტიული გამოძიებების სავალდებულობა/მიზანშეწონილობა, გამოძიების ეტაპზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება, პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაკითხვის მეთოდика, არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის თავისებურებები, სავარაუდო მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების გაცნობა და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შეთავაზება. აღნიშნულ სახელმძღვანელო პრინციპებს გაეცვნენ ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე გამომძიებლები და პროკურორები, რომლებიც სახელმძღვანელო დოკუმენტს იყენებენ ყოველდღიურ საქმიანობაში.

სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს შიდა მოხმარების დოკუმენტს, რომელიც პრაქტიკაში გამოყენების მიზნით ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გავრცელდა იმ სამართალდამცველთა შორის, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ტრეფიკინგის თემაზე.

დამატებით, სახელმძღვანელო პრინციპების ეფექტიანად დანერგვის მიზნით პროკურორებისა და გამომძიებლებისათვის სისტემატურად ტარდება პროფესიული ტრენინგები, რომელთა ფარგლებშიც გასაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა პროაქტიულ გამოვლენას, პოტენციურ მსხვერპლებთან მოპყრობასა და სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებას.

3.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა

3.2.1 სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობის გაზრდა და ფუნქციონირება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებას აგრძელებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფი, რომლის რიცხვი 2014 წლის დეკემბერში გაიზარდა. ამჟამად ფუნქციონირებს შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი. თითოეული მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა ორი სამართალდამცველისგან, რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკშემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებს, ასევე, რისკჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

2015-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით მობილური ჯგუფების მიერ განხორციელდა ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა. შედეგად გამოვლენილ იქნა რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის, ისინი, სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. ტრეფიკინგის შემთხვევების გამოვლენის მიზნით გატარებული ოპერატიულ-საგამომძიებო ღონისძიებების შედეგად მობილური ჯგუფების მიერ 2015 წელს გამოიკითხა 386, ხოლო 2016 წელს – 440 პირი. 2015 წელს შემოწმდა 54 დაწესებულება, ხოლო 2016 წელს – 102.

გარდა ამისა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის

წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით 24/7 ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლი და სისტემატურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2015 წელს გამოიკითხა 1752, ხოლო 2016 წელს – 2638 დეპორტირებული მოქალაქე.

მობილური ჯგუფის მიერ მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება არალეგალურად მუშაობის რისკების შესახებ და დანიშნულების ქვეყანაში ყოფნისა და მუშაობის შესახებ არსებული ნორმების და მოთხოვნების გაცნობა.

ამასთან, ორგანოებით ვაჭრობის ფაქტების პრევენციის, მსგავსი დანაშაულის აღკვეთის, დონორებსა და პაციენტებს შორის უკანონო გარიგების ან/და ორგანოების იძულებით გადანერგვის ფაქტების გამოვლენის მიზნით მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე ახორციელებს დონორებისა და რეციპიენტების გამოკითხვას.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა ყიდვა/გაყიდვის ან მათ მიმართ სხვა უკანონო გარიგების ფაქტების გამოვლენის მიზნით ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“, საიდანაც პერიოდულად ხდება ინფორმაციის გადმოგზავნა არასრულწლოვან პირთა გაშვილების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარეობს მშვილბეული და გამშვილბეული მოქალაქეების შესწავლა და მათი გამოკითხვა არასრულწლოვნის მიმართ რაიმე სახის გარიგების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

2016 წელს გადმოგზავნილ და შესწავლილ იქნა გაშვილების 46 ფაქტი. შედეგად, არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის ან სხვა უკანონო გარიგების განხორციელების ფაქტზე („საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143²-ე მუხლი) გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 1 საქმეზე. გამოძიების შედეგად არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის ან სხვა უკანონო გარიგების ფაქტი არ დადასტურებულა.

დამატებით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროაქტიული და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ აქტიურად მიმდინარეობს იმ პირებისა და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მობილური ჯგუფის მიერ ხდება ქ. თბილისის ორთაჭალის და დიდუბის ავტოსადგურებში არსებული ორგანიზაციების შესწავლა, რომლებსაც მოქალაქეები გადაჰყავთ საზღვარგარეთ. ასევე, არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, ყალბი

დოკუმენტის დამზადებისა და ტრეფიკინგთან მათი თანამონაწილეობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება ტურისტული ფირმების საქმიანობის, იმ ორგანიზაციების და პირთა შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წამსვლელ პირთათვის სავიზო მომსახურების გაწევას.

შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების უფრო მეტი გამოვლენის მიზნით 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მობილური ჯგუფების მიერ პროაქტიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად დაიკითხა 50-ზე მეტი მოქალაქე, ხოლო 2016 წელს – 30 მოქალაქე, რომლებმაც ისარგებლეს დასაქმების სააგენტოს მომსახურებით და დასაქმდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში. მათ შორის, მაგალითად, შემოწმდა დასაქმების სააგენტო, რომელიც სისტემატურად უფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოს მოქალაქეებს და უზრუნველყოფს მათ გამგზავრებას მოდელურად დასაქმების მიზნით ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში არსებულ ღამის კლუბებში. დასაქმების სააგენტოდან მოხდა მათ მიერ დასაქმებული მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის ამოღება და და იმ პირების გამოკითხვა, რომელთაც ისარგებლეს მათი მომსახურებით და დასაქმდნენ საზღვარგარეთ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმისა და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიდან გადამისამართებული ინფორმაციის საფუძველზე მობილური ჯგუფის მიერ 2016 წლის პერიოდში გამოიკითხა 89 პირი.

3.2.2 სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) შესაძლებლობების გაზრდა და მისი წევრების მონაწილეობა ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისა და პოლიციური კონტროლის განხორციელებისას

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 2. საქართველოს მთავარი პროკურატურა

ფუნქციონირებას აგრძელებს 2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიას შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმის ამაღლების სფეროში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შექმნილი ე.წ. სპეციალისტების ჯგუფი (Task Force), რომელიც დაკომპლექტებულია 7 დეტექტივ-გამომძიებლით და 5 პროკურორით, რათა პროაქტიულად გამოავლინონ, ეფექტურად გამოიძიონ და აწარმოონ სისხლისსამართლებრივი დევნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულებზე. სპეციალისტების ჯგუფი კონცენტრირებულია აჭარის რეგიონზე. ამასთან, სპეციალისტების ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლობას სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის და განავითარებს ტრეფიკინგის შემთხვევებზე მომუშავე სამართალდამცავი სტრუქტურების ქსელს.

სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მთავარ ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, ტრეფიკინგის რისკჯგუფს მიკუთვნებულ დაწესებულებათა და პირთა გამოვლენა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა, მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით ტრეფიკინგის დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო საქმიანობის განხორციელება, ტრეფიკინგის ფაქტებზე ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დაწყება, დაზარალებულ პირთა გამოვლენა (იდენტიფიცირება), სახელმწიფო ფონდთან კოორდინირებული მუშაობით მათი დახმარება, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენა-დაკავება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აქტიურად მიმდინარეობს ტრეფიკინგის ფაქტების პროაქტიული გამოვლენა, მათ შორის, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა 24/7 რეჟიმში.

2015-2016 წლებში სპეციალისტთა ჯგუფის მიერ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით განხორციელდა რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა და პირების გამოკითხვა. კერძოდ, 2015 წელს გამოკითხულ იქნა 281 მოქალაქე მათ მიმართ შესაძლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით, შემოწმდა 49 დაწესებულება, ხოლო 2016 წელს გამოკითხულ იქნა ტრეფიკინგის რისკჯგუფს მიკუთვნილი 276 პირი და შემოწმდა 67 დაწესებულება.

სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით 24/7 ხდება სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტის კონტროლი და სისტემატურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება.

3.2.3 მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – შინაგან საქმეთა სამინისტრო

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პროაქტიული გამოძიების წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენისას. პროაქტიული გამოძიება ორიენტირებულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ინიციატივაზე და გულისხმობს გამოძიების იმ მეთოდს, რომელიც არ არის დამოკიდებული მსხვერპლის განცხადებაზე/მიმართვაზე და ითვალისწინებს გამოძიების დაწყებას ოპერატიული ანგარიშის საფუძველზე. მობილური ჯგუფების მიერ წინასწარ ხორციელდება ტრეფიკინგის რისკის შემცველი დაწესებულებების გამოვლენა-აღრიცხვა, მათ შორის, იმ ადგილების, სადაც სისტემატურად ხდება პროსტიტუციისთვის

ადგილის გადაცემა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიმდინარეობს მონაცემთა პერიოდული აღრიცხვა და სისტემატურად ხორციელდება იდენტიფიცირებული ადგილების შემოწმება. ასევე, მიმდინარეობს აღნიშნული რისკჯგუფის შემცველი დაწესებულებების მფლობელთა, ხელმძღვანელთა და დაწესებულებაში მომუშავე პირთა, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა, დადგენა და ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მათი შემოწმება-შესწავლა და გამოკითხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხდება იმ ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ და უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ გაყვანას და, პირიქით, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში ჩამოყვანას დასაქმების მიზნით. ამასთან, სამართალდამცველების მიერ სისტემატურად ხორციელდება საქართველოში დეპორტირებულ პირთა გამოკითხვა საზღვარზე იმ მიზნით, რომ გამოარკვიონ, ხომ არ ჰქონდა საქართველოს მოქალაქეების მიმართ ტრეფიკინგის ფაქტს ადგილი იმ სახელმწიფოში, საიდანაც განხორციელდა მათი დეპორტაცია; ასევე, მიმდინარეობს რისკჯგუფს მიკუთვნილ პირთა ინფორმირება ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ.

2015 წელს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული პროაქტიული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე პროაქტიულად გამოძიება დაიწყო 11, ხოლო 2016 წელს 15 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, ორი არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტზე.

საერთო ჯამში, სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წელს ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაწყებულ იქნა 18 და 2016 წელს – 20 სისხლის სამართლის საქმეზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებულმა დროებითმა თემატურმა ჯგუფმა შეიმუშავა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143³-ე მუხლის შენიშვნის პროექტი, რომლის მიზანია სამართლებრივი ჩარჩოს შექმნით სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბარიერის მოხსნა და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობის შეტყობინების წახალისება მომსახურების მიმღები პირების მიერ, რათა ხელი შეეწყოს, ერთი მხრივ, დანაშაულთან ეფექტურ ბრძოლას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობას ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143³-ე მუხლით გათვალისწინებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობას დაემატება შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებით ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურების მიმღები პირის

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუ იგი ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან და გამოძიების დაწყებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს ჩადენილი ქმედების შესახებ სისხლის სამართლის მწარმოებელ ორგანოში.

3.2.4 სისხლის სამართლის საქმის შესახებ სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, სადაც მითითებული იქნება მსხვერპლთა/დაზარალებულთა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა სქესი, ასაკი, ეროვნება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3. ფონდი

2015 წლის 6 აგვისტოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და ანალიზის თემაზე. ტრენინგი შედგა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით, ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.

მიღებული ცოდნის საფუძველზე, 2015 წელს საბჭოს სამდივნომ (იუსტიციის სამინისტრომ) შეიმუშავა ტრეფიკინგის ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მუდმივად განახლების პროცესშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა შეიცავს 2010-2016 წლების შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. მონაცემები სისხლის სამართლის საქმეების შესახებ – გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლოში გაგზავნილი საქმეებისა და განაჩენების რაოდენობა სეგრეგირებული ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით;
2. მონაცემები ბრალდებული და მსჯავრდებული პირების შესახებ – რაოდენობა, მოქალაქეობა, ასაკი, სქესი;
3. მონაცემები ტრეფიკინგის დაზარალებულისა და მსხვერპლის შესახებ – რაოდენობა, მოქალაქეობა, სქესი, ასაკი, ექსპლუატაციის ფორმა, სახელმწიფო ფონდის რა სახის

სერვისებით ისარგებლა (სამედიცინო, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, თავშესაფარი, კომპენსაცია, სპეციალური ბინადრობის ნებართვა);

4. სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარება და საპოლიციო თანამშრომლობა – ტრეფიკინგის თემაზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შუამდგომლობებისა და ექსტრადიციების რაოდენობა სეგრეგირებული სახელმწიფოთა მიხედვით.

დეტალური სტატისტიკური მონაცემები გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის, სასამართლოში გაგზავნილი საქმეებისა და მსჯავრდებულების თაობაზე მოცემულია დანართ №2-სა და №13-ში (სერვისები მოცემულია დანართ №1-ში).

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების პროფესიული განვითარება

4.1.1. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ტრენინგის საჭიროების შესწავლა/ანალიზი

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 2. საქართველოს მთავარი პროკურატურა

შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველო უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროებების განსაზღვრას 2 მეთოდით:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღებული ვალდებულებების მიხედვით, რომელიც ხორციელდება მუდმივად;
2. სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც შესავსებად ეგზავნება შსს-ის დანაყოფებს და რომლის შედეგების საფუძველზე ხდება საჭიროებათა ანალიზი.

2015-2016 წლებში აღნიშნული კითხვარი შეივსო შსს-ის ყველა დანაყოფის მიერ.

4.1.2. პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების სისტემატური გადამზადება და ახალი ტენდენციების გაცნობა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს მთავარი პროკურატურა

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

2015-2016 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა პროკურორებისა და სტაჟიორი პროკურორების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე:

- 2015 წლის 17-30 მაისს საქართველოს პროკურატურის 4 თანამშრომელი აშშ-ის დიპლომატიური უსაფრთხოების ბიუროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ბუდაპეშტში;
- 2015 წლის 14-16 ივლისს არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის თემაზე გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოს პროკურატურის 9 და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელი ვიზიტით იმყოფებოდა რუმინეთში;
- 2015 წლის 29-30 ივლისს ქ. ბათუმში ევროპის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით დაზარალებულსა და მოწმესთან მუშაობის ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტებზე ტრენინგი ჩატარდა საქართველოს პროკურატურის 18 თანამშრომელს. ერთ-ერთი განსახილვევი თემა იყო, ასევე, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი);
- 2016 წლის 28 მარტს - 23 მაისს საქართველოს პროკურატურის სტაჟიორ პროკურორებს 2 ჯგუფად ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. ტრენინგს დაესწრო 61 სტაჟიორი პროკურორი;
- 2016 წლის ივნისში აშშ-ის საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 20 თანამშრომელს ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლა (არასრულწლოვანთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია). ტრენინგს უძღვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები;
- 2016 წლის 7-9 სექტემბერს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა დაზარალებულთა და მოწმეთა საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდა მოწმისა და დაზარალებულის 16 კოორდინატორი;
- 2016 წლის 26-27 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. სტოკჰოლმში, შვედეთში. ვიზიტის მიზანი იყო შვედეთის გამოცდილების გაზიარება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში;
- 2016 წლის 31 ოქტომბერს - 11 ნოემბერს აშშ-ის საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობით მოწმისა და დაზარალებულის 6 კოორდინატორი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკაში. შეხვედრის მიზანი იყო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლება.

4.1.3. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქმიანობის შესრულების მიზნით შსს-ის საპატრულო პოლიციის და სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სპეციალურ ტრენინგებში.

2015 წლის 22-26 ივნისს ევროპის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით სასაზღვრო გამტარ პუნქტში მომუშავე პერსონალისათვის (2) ჩატარდა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე.

4.1.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის გამომძიებლების, უზნის ინსპექტორების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, რაიონული განყოფილების თანამშრომლების სისტემატური გადამზადება და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთან/დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

4.1.5. სპეციალისტების ჯგუფის წევრების (Task Force) გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 2. საქართველოს მთავარი პროკურატურა

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

სამოქმედო გეგმის 4.1.4 და 4.1.5. პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს შსს აკადემიის საბაზისო სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი საკითხია. კურსის განმავლობაში მსმენელები ეცნობიან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ადგილობრივ და საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტებს. ამას გარდა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ ტრენინგებში, რომლებიც ტარდება სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით.

2015-2016 წლებში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა

მიიღეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე საქართველოში ჩატარებულ 11 ტრენინგში და საზღვარგარეთის ქვეყნებში დაგეგმილ 8 ტრენინგსა და შეხვედრაში.

2015-2016 წლებში საქართველოში ჩატარებული ტრენინგები და შეხვედრები:

- 2015 წლის 21-22 აპრილის შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით და ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამის (TAIEX) მხარდაჭერით სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გამართულ „სამართალდაცვით სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების“ თემაზე ორდღიან სამუშაო შეხვედრაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, მოლდოვის, უკრაინის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, კერძოდ, ავსტრიის, პოლონეთის, სლოვენის და რუმინეთის, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებმა. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების განსახორციელებლად არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკული მეთოდების განხილვა. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აღნიშნულ სფეროში მიღებული გამოცდილება, წარმატებული მაგალითები, განიხილეს არსებული გამოწვევები და თანამშრომლობის სამომავლო გეგმები. ღონისძიების ფარგლებში კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე სამართალდამცავ უწყებებს შორის ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის მეთოდებზე, ევროპოლთან თანამშრომლობასა და სხვა საკითხებზე;
- 2015 წლის 01-02 ივლისის შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრის და მიგრაციის მართვის სფეროში“ – ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგში თემაზე: „მიგრანტთა უკანონო გადაყვანა“. კურსზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: უკანონო გადაყვანის/კონტრაბანდისა და ადამიანებით ვაჭრობის განსაზღვრებები და უკანონო საზღვრის კვეთისგან მათი განსხვავება; გამოძიება – ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთობა; დამნაშავედ ცნობის ხელისშემშლელი ფაქტორები, სასამართლოს როლი და სხვა;
- 2015 წლის 13-14 ივლისის შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

ჩატარებულ სასწავლო კურსში, რომლის თემა იყო ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენა, მტკიცებულებათა მოპოვება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

- 2015 წლის 14-16 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს (34), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (1), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (1), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (1), საქართველოს მთავარი პროკურატურისა (1) და ფონდის (2) წარმომადგენლები დაესწრნენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით არასრულწლოვანთა იძულებითი მათხოვრობისა და ექსპლუატაციის თემაზე დაგეგმილ ტრენინგს;
- 2015 წლის 6 აგვისტოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს პროკურატურის (3), იუსტიციის სამინისტროს (1), შინაგან საქმეთა სამინისტროსა (2) და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა (2), დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და ანალიზის თემაზე. ტრენინგი შედგა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით, ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.
- 2016 წლის 6-13 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა კურსი თემაზე: „არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე 3-მა თანამშრომელმა;
- 2016 წლის 24-27 ოქტომბერს ქ. ბათუმში აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით ჩატარდა კურსი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე 4-მა თანამშრომელმა;
- 2016 წლის 24-29 ოქტომბერს ქ. ბათუმში სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით ჩატარდა კურსი თემაზე: „ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“, რომელსაც დაესწრო შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 6 და საქართველოს პროკურატურის 2 თანამშრომელი;
- 2016 წლის 14-18 ნოემბერს აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით მიმდინარეობს კურსი თემაზე: „ფარული და კომპლექსური გამოძიება“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 8 თანამშრომელმა;
- 2016 წლის 13-16 ნოემბერს ევროპის სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებითა და ევროკავშირის დაფინანსებით

განხორციელებული პროექტის – „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლა ცნობიერების ამაღლების გზით“ – ფარგლებში გაიმართა შეხვედრა თემაზე: „ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის პრაქტიკული ასპექტები საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე, მსხვერპლთა დაცვა, დახმარება, რეფერირება, ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების სპეციფიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ცნობიერების ამაღლება“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე 2-მა თანამშრომელმა;

- 2016 წლის ნოემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის თანამშრომლობის ფარგლებში, ეუთო-ს დაფინანსებით, ხუთდღიანი რეგიონული ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „კიბერსივრცის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების შესახებ“.

2015-2016 წლებში საზღვარგარეთ ჩატარებული ტრენინგები და შეხვედრები:

- 2015 წლის 17-30 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 6 თანამშრომელი და 4 პროკურორი, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ამ თემაზე და ზედამხედველობას უწევენ ტრეფიკინგის მიმართულებით არსებულ საქმეებს, დაესწრო ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) საერთაშორისო სამართალდამცავ აკადემიაში (ILEA) აშშ-ის დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ორკვირიან სასწავლო კურსს ტრეფიკინგის საკითხებზე. კურსში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, ყაზახეთისა და სერბეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა. კურსის მიზანია სამართალდამცველთა შესაძლებლობების ზრდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: სამართლებრივი საკითხები, ტრეფიკინგის მსხვერპლის აღმოჩენა/გამოვლენა, მსხვერპლთან თანამშრომლობა და სხვა;
- 2015 წლის 28-29 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. კიევში (უკრაინა) სუამ-ის სამდივნოში ჩატარებულ ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის მორიგი სხდომის მუშაობაში;
- 2015 წლის 15-18 ივნისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ზაგრებში (ხორვატიის რესპუბლიკა) საერთაშორისო საპოლიციო

თანამშრომლობის კოორდინაციის დანაყოფებისათვის (ILECUs) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე დაგეგმილ ტრენინგში;

- 2015 წლის 10-13 აგვისტოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 1-მა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ამერიკაში, დალასში, აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით დაგეგმილ 27-ე წლიურ კონფერენციაში თემაზე: „ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“;
- 2016 წლის 7-12 მარტს საფრანგეთის ქ. ლიონში განხორციელდა სტაჟირების პროგრამა თემაზე: „ბრძოლა არალეგალური მიგრაციის ქსელების წინააღმდეგ“. სტაჟირების ორგანიზატორი იყო საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დანაყოფი და ჩატარდა საფრანგეთის სასაზღვრო პოლიციის მთავარი სამმართველოს (DCPAF) და არალეგალური მიგრაციის ქსელების და არალეგალურ ვითარებაში მყოფ უცხოელ მოქალაქეთა დასაქმების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ოფისის (OCRIEST) მიერ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის საკითხებზე მომუშავე 1-მა თანამშრომელმა;
- 2016 წლის 08-11 აგვისტოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს 2-მა თანამშრომელმა აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით მონაწილეობა მიიღო ამერიკაში, დალასში, დაგეგმილ 28-ე წლიურ კონფერენციის მუშაობაში თემაზე: „ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“;
- 2016 წლის 19-30 სექტემბერს იტალიაში, ქ. კაზერტაში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე 2-მა თანამშრომელმა;
- 2016 წლის 26-27 ოქტომბერს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“ – ფარგლებში შვედეთში ჩატარდა სასწავლო ვიზიტი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე 1-მა თანამშრომელმა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 4.1.2 აქტივობაში მითითებულ ყველა ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, „Task Force“-ს წევრმა პროკურორებმა.

4.2. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება

4.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეების გადამზადება

ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო – იუსტიციის უმაღლესი სკოლა

4.2.2. მოსამართლის თანაშემწეთა გადამზადება

ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო – იუსტიციის უმაღლესი სკოლა

სამოქმედო გეგმის 4.2.1. და 4.2.2. პუნქტებით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში 2015-2016 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეთა და მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- 2015 წელს – „ადამიანით ვაჭრობა; ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ბავშვების ეფექტიანი დაცვა“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 6-მა თანამშრომელმა;
- 2016 წელს – „ტრეფიკინგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ბავშვების ეფექტიანი დაცვა“. ტრენინგს დაესწრო 13 მონაწილე, მათ შორის – 7 მოსამართლე;
- 2016 წელს – „ტრეფიკინგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ბავშვების ეფექტიანი დაცვა“. ტრენინგს დაესწრო 17 მოხელე.

4.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

4.3.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრენინგების გზით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – ფონდი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის აპარატისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავმესაფრების) თანამშრომლებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე 2015-2016 წლებში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- 2015 წლის 11-12 ივლისს ქ. ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ფონდის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობის

- (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარების სოციალური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები“ (13 მონაწილე);
- 2015 წლის 23 ივლისს ქ. თბილისში საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელშეწყობითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ფონდისა და შსს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმი და თანამედროვე ტენდენციები“ (11 მონაწილე);
 - 2015 წლის 6 აგვისტოს საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო) და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ჩატარდა სტატისტიკის წარმოებისა და ანალიზის ტრენინგი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული დაწესებულებების თანამშრომელთათვის (ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ფონდის 2-მა თანამშრომელმა);
 - 2015 წლის 31 აგვისტო - 1 სექტემბერს ქ. თბილისში საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელშეწყობითა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით პროექტის – „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ – ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ფონდისა და შსს-ის სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთათვის (ესწრებოდა ფონდის 9 თანამშრომელი);
 - 2016 წლის 16-18 და 23-27 მაისს, 6-9 და 20-23 ივნისს სახელმწიფო ფონდმა „გაერო-ს ბავშვთა ფონდის“ მხარდაჭერით განახორციელა სტრუქტურული (თავშესაფრები, მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები) და ტერიტორიული ერთეულების (ფილიალები) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ციკლი სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: ბავშვის განვითარების ეტაპები, თეორიები, ინდივიდუალური მუშაობა, საქმის მენეჯმენტი, რთული ქცევა, ძალადობა, სტრესის მართვა, პროფესიული გადაწყვეტის პრევენცია (3 მონაწილე);
 - 2016 წლის 7-8 ნოემბერს ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარდა ტრენინგი „სქესი, გენდერი, ორიენტაცია“ ფონდის სტრუქტურული ერთეულების (მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) თანამშრომლები) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (6 მონაწილე);
 - 2016 წლის 19 და 20 დეკემბერს, პროექტ „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენციის“ ფარგლებში ფონდის სტრუქტურული ერთეულების (მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) თანამშრომლები) თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საკითხები“ (11 მონაწილე);
 - 2016 წლის 20-21 დეკემბერს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით ფონდის თანამშრომლებისთვის (მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) თანამშრომლები) ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა ტრეფიკინგი და

არასრულწლოვანი მსხვერპლების სერვისებით უზრუნველყოფა – მაგალითები და გამოცდილება“ (20 მონაწილე).

4.4. საკონსულოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

4.4.1. საკონსულოს თანამშრომელთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთან/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ტრეფიკინგთან ბრძოლის 2015-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკონსულოს თანამშრომელთა გადამზადებას ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთან/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან მიმართებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებს ეგზავნებათ ინფორმაცია ტრეფიკინგის და ადამიანის უფლებების/ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ნორმების შესახებ.

დამატებით, თბილისში პერიოდულად იმართება საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა შეკრება, სადაც სხვა საკითხებთან (სიახლეები და არსებული პრობლემატიკა) ერთად განიხილება ტრეფიკინგის თემატიკაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ საკონსულო თანამდებობის პირთა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ერთ-ერთ სალექციო თემატიკად განსაზღვრულია „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და სახელმწიფოს ვალდებულება“. სასწავლო კურსის დამთავრების შემდგომ სწავლებაში მონაწილე მოხელეები აბარებენ ტესტურ გამოცდას და, დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ეძლევათ საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოში საკონსულო თანამდებობის პირად დანიშვნის შესაძლებლობა.

5. თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია

5.1. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვება

5.1.1. ყოველ 6 თვეში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება პერიოდული ანგარიშის მომზადების მიზნით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი); 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 6. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 7. ფონდი; 8 დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; 9. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 10. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; 11. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2015-2016 წლებში საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო საერთაშორისო თუ ეროვნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ანგარიშების მომზადების მიზნით პერიოდულად ითხოვდა ინფორმაციას სხვადასხვა უწყებისგან ტრეფიკინგის კუთხით განხორციელებული აქტივობების თაობაზე.

2015-2016 წლებში საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული და 2-წლიანი ანგარიშის მომზადების მიზნით წევრი და პარტნიორი სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

ამასთან, საბჭოს სამდივნომ 2015-2016 წლებში პერიოდულად უზრუნველყო საქართველოში აშშ-ის საელჩოსათვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შევსებული კითხვარის მიწოდება 2014-2015, 2015-2016 და 2016-2017 წლების ანგარიშის მოსამზადებლად¹. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ამერიკის საანგარიშო პერიოდში საქართველოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

გარდა ამისა, საბჭოს სამდივნო პერიოდულად ითხოვდა ინფორმაციას შესაბამისი უწყებებისგან ტრეფიკინგის თაობაზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ინფორმაციისა თუ ანგარიშების მიწოდების მიზნით. შედეგად, 2015-2016 წლებში:

- ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგთან) ბრძოლის კონვენციის შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელ ექსპერტთა ჯგუფ „GRETA“-ს მიეწოდა ინფორმაცია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე“

¹ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ამერიკის საანგარიშო პერიოდი მოიცავს შუალედს ყოველი წლის 1 აპრილიდან მომდევნო წლის 31 მარტის ჩათვლით

ევროპის საბჭოს კონვენციის შესრულების შესახებ და შემუშავდა „GRETA“-ს მეორე შეფასების ანგარიშის პროექტზე სახელმწიფოს საპასუხო პოზიცია;

- შემუშავდა „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ დამატებითი ოქმის შესრულების ანგარიში. ამ მიზნით 2016 წლის 11 აპრილს საქართველოს ეწვია **ბავშვებით ვაჭრობისა და ბავშვთა პორნოგრაფია-პროსტიტუციის საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი მო დე ბოერ-ბუკიკიო**, რომელსაც უმასპინძლა იუსტიციის სამინისტრომ;
- ეუთო-თვის წარსადგენად შემუშავდა ანგარიში ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე;
- მომზადდა გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის – „Trafficking in women and girls A/RES/69/149“ – შესრულების თაობაზე 2015 წლის ანგარიში;
- ტრეფიკინგის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდა ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე გაერო-ს სპეციალურ მომხსენებელ დუბრაჟკა სიმონოვიჩს, რომელმაც მოამზადა ანგარიში საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების თაობაზე. გაერო-ს სპეციალურ მომხსენებელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უმასპინძლა 2016 წლის 19 თებერვალს.

5.2. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება

5.2.1. სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. ფონდი; 2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 4. საქართველოს მთავარი პროკურატურა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში. სწორედ ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2015 და 2016 წლებში არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსები.

კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2015 წელს ორ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციაზე (სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი „მომავალი“, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია) გასცა გრანტი, რომელთაც ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით საინფორმაციო კამპანია აწარმოეს აჭარისა და იმერეთის რეგიონებში.

ორივე არასამთავრობო ორგანიზაციამ პროექტის განხორციელება დაიწყო 2015 წლის სექტემბერში და დაასრულა ნოემბერში.

ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები მოიცავდა სხვადასხვა სახის აქტივობას: საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, ფლემშობი, საინფორმაციო ბროშურების შემუშავება და გავრცელება. პროექტის ფარგლებში, ასევე, ჩატარდა მედიაკონკურსი ტრეფიკინგის თემაზე, რომლის ფარგლებშიც იმერეთის რეგიონის ჟურნალისტებმა მოამზადეს როგორც ბეჭდვითი, ისე ტელერადიო- და ონლაინ მასალა და გამოაქვეყნეს პროექტში ჩართული მედიასამუშაულებების მეშვეობით.

2016 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ყურადღება გაამახვილა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვასა და დახმარებაზე. 2016 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი თემაზე: „ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“.

საგრანტო პროგრამა გულისხმობს, ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ იდენტიფიცირებული და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დანაშაულის მეორე დონის პრევენციის პროგრამებში ჩართული ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვებისათვის საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროგრამების შეთავაზებას, მეორე მხრივ, კი მიუსაფარი ბავშვების საკითხთან დაკავშირებით სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის მომზადებას შესაბამის უწყებებთან კოორდინაციითა და თანამშრომლობით და მიუსაფარი ბავშვების ახალი ლოკაციების იდენტიფიცირებას არასამუშაო საათებსა და უქმე დღეებში.

საგრანტო კონკურსი გულისხმობს გამარჯვებული ორი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ჯამში 54000 ლარის გრანტის გაცემას.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის შედეგად გამოვლინდა 2 გამარჯვებული: „World Vision International“-ის ფილიალი საქართველოში“ და „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“, რომლებმაც საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დაიწყეს 2017 წლის იანვრიდან.

ამასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სამოქალაქო სექტორის გაძლიერებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის მიზნით 2016 წლის 15 დეკემბერს ჩატარებულ სხდომაზე საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოს ფარგლებში სამოქალაქო პლატფორმის შექმნის თაობაზე. ამ მიზნით საბჭოს ფარგლებში ჩამოყალიბდა სამოქალაქო პლატფორმაზე მომუშავე დროებითი სამუშაო ჯგუფი,

რომლის მიზანია სამოქალაქო პლატფორმის მანდატისა და ფუნქციონირების საკითხის მომზადება. არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შექმნილი სამოქალაქო პლატფორმა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების მეტ ჩართულობას ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში, გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვას, მეორე მხრივ კი, ეს პლატფორმა ხელს შეუწყობს რეგიონულ დონეზე სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიან გატარებასა და საბჭოს ინფორმირებას ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების თაობაზე.

5.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მემორანდუმების განახლება ან/და გაფორმება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – ფონდი

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

ფონდმა 2015 წელს 2 წლის ვადით გააფორმა მემორანდუმი ა(ა)იპ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომასთან“ (შემდგომში – „თანადგომა“). აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კომერციული სექსის მუშაკების კონსულტირება, სკრინინგი და დიაგნოსტიკა ინფექციური (გადამდები) და ვირუსული ხასიათის დაავადებებზე.

მემორანდუმის ფარგლებში „თანადგომა“ უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლის აღმოჩენის შემთხვევაში მის რეფერირებას ფონდში, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) (სექსუალური ექსპლუატაცია) მსხვერპლთა კონსულტირებას რეპროდუქციული ჯანმთელობის საკითხებზე და პირველად სკრინინგს აივ ინფექცია/შიდსსა და ვირუსულ B და C ჰეპატიტებზე.

გარდა ამისა, 2015 წელს 2 წლის ვადით განახლდა მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი;
- კავშირი „ქალები მომავლისათვის“;
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

2016 წელს 2 წლის ვადით განახლდა, ასევე, მემორანდუმი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM).

5.3. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

5.3.1. პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 2. საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიციის ატაშეებთან, რომელთა სამუშაო ოფისები მდებარეობს საქართველოში ან ფარავენ საქართველოს სხვა ქვეყნებიდან. ამასთან, შსს თანამშრომლობს პოლიციის ატაშეებთან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში პოლიციის ატაშეები დახმარებას უწევენ ერთმანეთს გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მყისიერად და ოპერატიულად მოპოვებაში, ასევე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობენ საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას და ა.შ.

პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოების მიზნით საქართველოს ატაშეები მსახურობენ სომხეთში, ავსტრიაში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საფრანგეთში, საბერძნეთში, თურქეთსა (2 ატაშე) და უკრაინაში. დამატებით 2015 წელს საქართველოს პოლიციის ატაშე წარგზავნილ იქნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის კომპეტენციაა GUAM, BSEC და SELEC ფარგლებში თანამშრომლობა, რომელსაც იგი უზრუნველყოფს თანამედროვე უსაფრთხო ინტერნეტსელებით. თანამშრომლობის ფარგლებში წევრი სამართალდამცველები მართავენ ონლაინკონფერენციებს და უსაფრთხო საკომუნიკაციო საშუალებებით გეგმავენ ერთობლივ ოპერატიულ ღონისძიებებს.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, ასევე, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან თანამშრომლობას. აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკასთან, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავს 2 ატაშე. თურქეთის რესპუბლიკას, ასევე, მეკავშირე ოფიცერი ჰყავს საქართველოში. მათი დახმარებით ხორციელდება ოპერატიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და თანამშრომლობა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით. ასეთი სახით თანამშრომლობა მიმდინარეობს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის მეშვეობით:

- 2015 წლის 23 მარტს ვიდუოკონფერენციის საშუალებით გაიმართა მოლაპარაკებები ბელარუსის მხარესთან რეადმისიის შესახებ შეთანხმების და მისი საიმპლემენტაციო ოქმის პროექტებთან დაკავშირებით (დოკუმენტებს ხელი მოეწერა 2015 წლის 23 აპრილს);
- 2015 წლის 15-16 აპრილს ქ. ლუბლიანაში გაიმართა კონსულტაციები სლოვენის მხარესთან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებისა და საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების პროექტებთან დაკავშირებით;
- 2015 წლის 16-24 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა (INL) და ჯორჯიის შტატის გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი ორგანიზებით შედგა ამერიკელი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში 2015 წლის 16-17 აპრილს ექსპერტები შეხვდნენ ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენლებს, ხოლო 20-24 აპრილს მოინახულეს ქ. ბათუმის სპეციალისტთა ჯგუფი (Task Force). შეხვედრების შედეგად შეფასდა საქართველოში ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით არსებული სიტუაცია, რომელიც დაეხმარება როგორც სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მომავალი აქტივობების დაგეგმვის მხრივ, ისე ქ. ბათუმის სპეციალისტთა ჯგუფს, რათა განხორციელდეს დეტალური და სრულყოფილი გამოძიება ადამიანთა უკანონოდ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით;
- 2015 წლის 20 აპრილს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელი დაესწრო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან გამართულ შეხვედრას, რომლის დროსაც განისაზღვრა სამომავლო გეგმები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებას ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენისა და მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით;
- 2015 წლის 29 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს (NCA) საერთაშორისო თანამშრომლობის (ოპერაციების) დანაყოფის ხელმძღვანელ მარკ ბიშოპსა და ამავე სააგენტოს მკვავშირე ოფიცერ ჯოანა ალექსანდერს შეხვდნენ. შეხვედრა ქართულ-ბრიტანული ყოველწლიური ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის – „უორდროპის დიალოგის“ – შუალედური შეხვედრის ფარგლებში გაიმართა. მხარეებმა განიხილეს სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები, კერძოდ, განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები, პოლიციელთა შესაძლებლობების განვითარება კონკრეტული მიმართულებით გამოძიების წარმოების კუთხით, მათ შორის, ბრიტანული მხარის მხარდაჭერა არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულების გამოძიების სფეროში;

- 2015 წლის 29 აპრილს ვიდეოკონფერენციის მეშვეობით გაიმართა მოლაპარაკებები ევროკავშირის მხარესთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით;
- 2015 წლის 29 აპრილს შედგა შეხვედრა დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს წარმომადგენლებთან ქართულ-ბრიტანული ყოველწლიური ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის – „უორდროპის დიალოგის“ – შუალედური შეხვედრის ფარგლებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს (NCA) საერთაშორისო თანამშრომლობის (ოპერაციების) დანაყოფის ხელმძღვანელს, ბატონ მარკ ბიშოპსა, და ამავე სააგენტოს მეკავშირე ოფიცერს, ქალბატონ ჯოანა ალექსანდერთან. მხარეებმა განიხილეს სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობა, კერძოდ, განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები, ასევე, პოლიციელთა შესაძლებლობების განვითარება კონკრეტული მიმართულებით გამოძიების წარმოების კუთხით. შეხვედრისას, ასევე, განხილულ იქნა სანაპირო დაცვის სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები;
- 2015 წლის 2-3 ივნისს განხორციელდა ევროპოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჯგუფის ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჯგუფმა ადგილზე შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემებისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები და პრაქტიკა (აღნიშნული შეფასება ევროპოლთან სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების აუცილებელი წინაპირობაა);
აღსანიშნავია, რომ ევროპოლთან მოლაპარაკებების შედეგად 2016 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა პარლამენტმა დაამტკიცა ევროპოლსა და საქართველოს შორის დასადები შეთანხმების ტექსტი. ევროკავშირის შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ საქართველო და ევროპოლი ხელს მოაწერენ შეთანხმებას, რომლის ძალაში შესვლისთვისაც საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირება. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველო ევროპოლში გააგზავნის ოფიცერს, რის საფუძველზეც მოხდება გამოცდილების გაზიარება სისხლის სამართლის მიმართულებით.
- 2015 წლის 7 მაისს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის წარმომადგენელთა მე-6 ერთობლივი კომისიის სხდომა „*საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ*“ 1994 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში. შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, ამ სფეროში არსებული თანამშრომლობა და გამოწვევები, ასევე, სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობა. შეხვედრის დასრულებისას ხელი მოეწერა სხდომის ოქმს, რომელშიც განისაზღვრა მხარეთა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები. აღნიშნული ფორმატის შეხვედრები

წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში წამოჭრილი საკითხების გადაჭრის ეფექტურ მექანიზმს;

- 2015 წლის 7 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროში, „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1994 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიის მე-6 სხდომა გაიმართა. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელი. სხდომაზე მხარეებმა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები განიხილეს; ისაუბრეს ამ კუთხით არსებული თანამშრომლობის, გამოწვევების და სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრის დასასრულ, მხარეებმა ხელი მოაწერეს სხდომის ოქმს, რომელშიც სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრები ერთი წლის განმავლობაში წამოჭრილი საკითხების გადაჭრის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. ერთობლივი კომისიის შეხვედრები მონაცვლეობით რეგულარულად იმართება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში;
- 2015 წლის 10 ივნისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელმა ტრეფიკინგის საკითხებზე გამართა პრეზენტაცია 8-12 ივნისს ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტში, ნატო-ს პროგრამის – „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ – ორგანიზებით თემაზე – „შავი ზღვის რეგიონში არსებული კრიტიკული უსაფრთხოების საკითხები“ (Cooperative Solutions to Critical Security Issues in the Black Sea Region) – ჩატარებული კურსის მონაწილე 15 უცხოელი მსმენელისა და საქართველოს სხვადასხვა საჯარო უწყების წარმომადგენლებისთვის;
- 2015 წლის 25 ივნისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელი „CEPOL“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენელს შეხვდა და გააცნო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიმდინარე პროცესები და სამომავლო გეგმები.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 2016 წელს ხელი მოეწერა შემდეგ შეთანხმებებს:

- რაინლანდ-პფალცი (გერმანია – ურთიერთგაგების მემორანდუმი) (31.03.2016);
- რუმინეთი (ერთობლივი განცხადება) (25.04.2016);
- საქსონია (გერმანია – ერთობლივი განცხადება) (29.08.2016);

- ბადენ-ვიურტემბერგი (გერმანია – ურთიერთგაგების მემორანდუმი) (30.08.2016);
- ჰესენი (გერმანია – ერთობლივი განცხადება) (31.08.2016);
- ყირგიზეთი (13.10.2016); სომხეთი (განცხადება) (16.12.2016).

ხელმოსაწერად მზადაა, ასევე, შეთანხმებები ევროპოლთან, ჩეხეთთან, შვედეთსა და ლიტვასთან (მემორანდუმი)

შეთანხმების დადების მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობს შემდეგ ქვეყნებთან: ბელგია, საბერძნეთი, ალბანეთი, ყაზახეთი, საუდის არაბეთი, ფილიპინები, არაბთა გაერთიანებული საემიროები (მემორანდუმი), იტალია (კარაბინერების სამსახურთან თანამშრომლობის მემორანდუმი);

შსს-ის მიერ ინიცირებული შეთანხმებები: ინდონეზია, ირლანდია, ისლანდია, კვიპროსი, ლიბია, ლუქსემბურგი, მაროკო, ნორვეგია, პორტუგალია, სლოვენია, ხორვატია, ჰონდურასი, ინდოეთი, ჩინეთი, კოლუმბია (მემორანდუმი), კატარი (მემორანდუმი), უნგრეთი (ერთობლივი განცხადება).

ატაშეების გაფართოების მიზნით 2016 წელს პოლიციის ატაშეები წარგზავნილ იქნენ შვედეთსა და იტალიაში.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წამყვანი უწყება, აქტიურადაა ჩართული ტრეფიკინგის თემაზე სხვადასხვა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა შემდეგი სამთავრობათაშორისო შეხვედრები:

- 2016 წლის 9 თებერვალს, სამთავრობათაშორისო შეხვედრის ფარგლებში, თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან შემდგარ დელეგაციას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ უმასპინძლა. ღონისძიების მთავარი თემა ადამიანით ვაჭრობის სფეროში გამოცდილების გაზიარება და ამ საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება იყო. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსხვერპლთა დაცვის კომპონენტსა და ორგანიზებულ დანაშაულთან, მათ შორის, ტრეფიკინგთან ბრძოლის კონტექსტში ქართულ-თურქული თანამშრომლობის გაღრმავებას;
- 2016 წლის აპრილში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ბერნარ კაზნევთან პარიზში გამართა შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა ორგანიზებულ დანაშაულთან, მათ შორის, ტრეფიკინგთან, ბრძოლისა და მიგრაციის მართვის საკითხები. მინისტრებმა იმსჯელეს დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლის

გაძლიერების აუცილებლობასა და შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის ხარისხის ამაღლებაზე;

- 2016 წლის ივნისში საქართველოს იუსტიციის მინისტრი ბუენოს-აირესში ადამიანის უფლებათა სახელმწიფო მდივნის ოფისს ეწვია, სადაც სახელმწიფო მდივნის მოადგილე ხოსე ბრაიან შაპირასა და ინსტიტუციური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გენერალურ დირექტორ მატეას გარიდოს შეხვდა. სხვა საკითხებთან ერთად, მინისტრმა სახელმწიფო მდივანს ტრეფიკინგის წინააღმდეგ საკოორდინაციო საბჭოების ფუნქციონირების შესახებ უამბო და ორ ქვეყანას შორის მომავალი თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა;
- 2016 წლის 26-28 ოქტომბერს პროექტ „საქართველოსა და ლატვიის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის განვითარების“ ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეწვია ლატვიის დელეგაცია. ქართულმა მხარემ ლატვიელ კოლეგებს მიაწოდა ინფორმაცია იმ საკანონმდებლო სიახლეებისა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების თაობაზე, რომლებიც მიღებულ იქნა მიუსაფარ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მიზნით. ყურადღება გამახვილდა, ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, მის მნიშვნელობასა და იმ სიახლეებზე, რომლებიც აღნიშნულმა სამართლებრივმა დოკუმენტმა შემოიტანა მართლმსაჯულების სფეროში;
- მიმდინარე წლის 26-28 ოქტომბერს აღმოსავლეთი ევროპის პარტნიორობის საპოლიციო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ტრეფიკინგის თემაზე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. სტოკჰოლმში, შვედეთში. ორდღიანი ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით შვედეთის გამოცდილების გაზიარება და მონაწილე სახელმწიფოთა შესაბამის წარმომადგენელთა შორის პარტნიორული თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა;
- 2016 წლის 22 ნოემბერს პროექტის – „საქართველოსა და სომხეთს შორის ორმხრივი შეხვედრა რეადმისიის მართვის, არალეგალურ მიგრაციასთან და ტრეფიკინგთან ბრძოლის თაობაზე“ – ფარგლებში შეხვედრა გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სომხეთის დელეგაციას შორის. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოს მიერ სომხეთისათვის გამოცდილების გაზიარებას;
- 2016 წლის 29-30 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი ქ. ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) დაესწრო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ეუთო-ს სპეციალური წარმომადგენლისა და კოორდინატორის ოფისის მიერ დაგეგმილ ღონისძიებას თემაზე: „Prevention of Trafficking in Human Beings in Supply Chains through Government Practices and Measures“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ასევე, ჩართული იყო შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებსა და მოლაპარაკებებში, რომლებიც უკავშირდებოდა ტრეფიკინგის საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებების გაფორმებას:

- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ინიცირებულია 2015 წლის 1 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ; ხელი მოეწერა 2016 წლის 13 ოქტომბერს. ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ალბანეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – მზად არის ხელმოსაწერად;
- შეთანხმება „საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – საუდის არაბეთის მხარის მიერ ჩასწორებული პროექტის მიმართ განხორციელდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია 2015 წლის 23 აპრილს; ქართულმა მხარემ დაასრულა ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და ამის შესახებ აცნობა ბელარუსის მხარეს 2014 წლის 4 ივნისს. ძალაშია 01.02.2016-დან;
- შეთანხმება „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელი მოეწერა 2015 წლის 21 იანვარს; ქართულმა მხარემ შეატყობინა ესპანურ მხარეს შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი პროცედურების დასრულების თაობაზე 2015 წლის 9 მარტს. ძალაშია 21.10.2015-დან;
- საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ხელმოწერილია 13.11.2015, ძალაშია 03.02.2016-დან;

ამასთან, 2015 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია“.

დამატებით, 2016 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო მოლაპარაკებები არგენტინის მხარესთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზნით, რომელიც შეეხება, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას.

5.3.2. სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანამშრომლობის გაღრმავება და, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივი გამოძიებების წარმოება

ძირითადი პასუხისმგებელი უწყება – 1. საქართველოს მთავარი პროკურატურა; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე პასუხისმგებელი უწყება – საკოორდინაციო საბჭო (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მიერ ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის მეშვეობით თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებში, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის და თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წელს სულ გაგზავნილ იქნა 3 შუამდგომლობა თურქეთში (2 სექსუალური ექსპლუატაცია, 1 შრომითი) და 1 – მოლდოვაში (სექსუალური ექსპლუატაცია). 2016 წელს 3 შუამდგომლობა გაიგზავნა თურქეთში (შრომითი ექსპლუატაცია).

გარდა ამისა, მჭიდროდ მიმდინარეობს თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე.

2015 წელს სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში 6 შუამდგომლობა შემოვიდა თურქეთიდან (დასრულდა), 1 – უზბეკეთიდან (დასრულდა), ხოლო 1 – აზერბაიჯანიდან (დასრულდა).

2015 წელს საქართველოდან ტრეფიკინგის თაობაზე შუამდგომლობა არ გაგზავნილა.

2016 წელს სამართლებრივი ურთიერთდახმარების თხოვნით 8 შუამდგომლობა (1 მიმდინარე, 7 დასრულდა) შემოვიდა თურქეთიდან, ხოლო 1 შუამდგომლობა გაიგზავნა საქართველოდან თურქეთში (მიმდინარე).

რაც შეეხება ექსტრადიციას, **2015 წელს** საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ექსტრადიციის თაობაზე მიიღო 1 შუამდგომლობა მოლდოვიდან (დაკმაყოფილდა), ხოლო საქართველოდან ექსტრადიციის თხოვნით შუამდგომლობა არ გაგზავნილა.

2016 წელს ექსტრადიციის თაობაზე შუამდგომლობა ტრეფიკინგის დანაშაულზე არც შემოსულა და არც გაგზავნილა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა სტატისტიკური მონაცემები		2015 წელი	2016 წელი
სტატუსი	მსხვერპლი	8	1
	დაზარალებული	8	2
სქესი	კაცი	5	0
	ქალი	11	3
ასაკი	< 18	2	-
	18-25	2	2
	26-35	6	1
	36-45	3	-
	46-60	3	-
	> 60	-	-
ეროვნება	ქართველი	11	-
	უცხოელი	5 (უზბეკი)	3 (უზბეკი)
ექსპლუატაციის ფორმა	სექსუალური	5	3
	შრომითი	9	-
	ყიდვა/გაყიდვა	2	-
ტრეფიკინგის ჩადენის ადგილი	საქართველო	9	3
	საზღვარგარეთ	7 (თურქეთი და ერაყი)	-

ფონდის სერვისები	თავშესაფარი	4	4 (1 თავშესაფარში შევიდა 2015 წელს და დატოვა 2016 წელს)
	კომპენსაცია	18	2
	იურიდიული მომსახურება	13	3
	ფსიქოლოგიური მომსახურება	4	-
	სამედიცინო მომსახურება	1	-

2015 წლის სტატისტიკა	სსკ ² 143 ¹ მუხლი (სრულწლოვნის ტრეფიკინგი)			სსკ 143 ² მუხლი (არასრულწლოვნის ტრეფიკინგი)			სსკ 143 ³ მუხლი (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა			ჯამი
	სექსუალუ რი ექსპლუა ტაცია	შრომი თი ექსპლ უა ტაცია	ადამიან ის ყიდვა/ გაყიდ ვა	სექსუალ ური ექსპლუა ტაცია	შრომი თი ექსპლუ ატაცია	ადამი ანის ყიდვა /გა ყიდვა	სექსუ ალუ რი ექსპ ლუა ტაცია	შრომი თი ექსპლუ ატაცია	ადამიან ის ყიდვა/ გაყიდვა	
გამოძიება	10	6	-	-	1	1	-	-	-	18
დევნა	2	-	-	-	-	3	-	-	-	5
სასამართლ ოში გაგზავნი ლი საქმე	2	-	-	-	-	1	-	-	-	3
განაჩენი	2	-	-	1	-	-	-	-	-	3
დაზარალებუ ლი	5	1	-	-	-	2	-	-	-	8
მსხვერპლი	-	8	-	-	-	-	-	-	-	8
მსჯავრდებუ ლი	2	-	-	1	-	-	-	-	-	3

² სისხლის სამართლის კოდექსი

2016 წლის სტატისტიკა	სსკ 143 ¹ მუხლი (სრულწლოვნის ტრეფიკინგი)			სსკ 143 ² მუხლი (არასრულწლოვნის ტრეფიკინგი)			სსკ 143 ³ მუხლი (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის)			ჯამი
	სექსუ ალ ური ექსპლუა ტაცია	შრომ ითი ექსპლ უა ტაცია	ადამიან ის ყიდვა/ გაყიდ ვა	სექსუ ალ ური ექსპლუა ტაცია	შრომი თი ექსპ ლუა ტაცია	ადამიან ის ყიდვა /გაყიდ ვა	სექსუ ალუ რი ექსპ ლუა ტაცია	შრომი თი ექსპლ უატაც ია	ადამი ან ის ყიდვა/ გაყიდ ვა	
გამომძიება	16 ³	2	-	-	1	1	-	-	-	20
დეენა	1	-	-	-	-	-	-	-	-	1
სასამართლო ში გაგზავნილი საქმე	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
განაჩენი	2	-	-	-	-	-	-	-	-	2
დაზარალებუ ლი	2	-	-	-	-	-	-	-	-	2
მსხვერპლი	1	-	-	-	-	-	-	-	-	1
მსჯავრდებული	4	-	-	-	-	-	-	-	-	4

³ 1 საქმე შეეხება როგორც სექსუალურ, ისე შრომით ექსპლუატაციას